საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორიც ბოჭდევული სიფცვაა, ფცეილებით და ჭიბებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 21 ნოემბერი. 2020 წ. №164 (9090) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

„ოცნების“ მხარდამჭერებო!

დღეს ყველანი გამოდით არჩევნების მეორე ტურზე და საკადრისი პასუხი გავცეთ მართლა გამყალბებელ ოპოზიციას ქვეყნისა და ხალხის წინაშე ჩადენილი ღალატისა და მზაკვრობისთვის!

ეროვნულ კრებიზიციის ცვლილებები

არეულობის მიზნით შეთითხნილი ფარსი!

4

ქელი დეგნანი: ძალიან დადებითი ნიშანია, რომ პარტიები კვლავ ერთად მუშაობენ და ცდილობენ, გამონახონ გამოსავალი

ძალიან დადებითი ნიშანია, რომ პარტიები კვლავ ერთად მუშაობენ და ცდილობენ გამონახონ გამოსავალი. ვფიქრობ, უკიდურესად დადებითი ფაქტია, რომ თავად მუშაობენ ამაზე, — ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა ჟურნალისტებს განუცხადა. ქელი დეგნანის თქმით, ამ საკითხის გადაჭრა აშშ-ისა და ევროკავშირისა საქმე არ არის.

„ეს არის ქართული პოლიტიკის ლიდერების გადასაწყვეტი. ისინი მუშაობენ გამოსავლის ძებნაზე და ჩვენგან არის ამის მხარდაჭერის სურვილი იმ პირობით, რომ ისინი მზად იქნებიან კონსტრუქციული დიალოგის გასაგრძელებლად“, — აცხადებს აშშ-ის ელჩი.

ხელისუფალნო, გონს მოეგეთ!

20 ნოემბერს თბილისში, წერეთლის გამზირზე მდებარე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ემ-ბი-სის“ შენობაში შეჭრილი, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ლევან ზურაბაშვილის ბედის შესახებ დაწვრილებით მორიგ ნომერში მოგითხრობთ.

ხელისუფალნო, დროზე მიხედეთ ამ სისტემურ, სამარცხვინო დანაშაულს.

დღეს ქვეყნის 17 მაჟორიტარულ ოლქში საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური გაიმართება

ქვეყნის 17 მაჟორიტარულ ოლქში საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური გაიმართება. ქუთაისში მერის რიგგარეშე არჩევნების მეორე ტურიც ჩატარდება, აჭარაში კი — უმაღლესი საბჭოს არჩევნებიც. მეორე ტური გაიმართება ბათუმსა და მაღალმთიან აჭარაში.

მეორე ტურზე ამომრჩევლებს მოემსახურება 1914 საარჩევნო უბანი, გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი 9 უბანი, სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი 80 სპეციალური უბანი.

ცესკომ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლების სპეციალური სიები უკვე დაამტკიცა. არჩევნების მეორე ტურისთვის სპეციალურ სიაში 4 095 ამომრჩეველია. ცესკო მათ 145 გადასატანი საარჩევნო ყუთით მოემსახურება. გადასატანი საარჩევნო ყუთის მოთხოვნით ცესკოს სატელეფონო-საინფორმაციო ცენტრს 2 360-მა მოქალაქემ მომართა, რომლებიც აცხადებდნენ, რომ იმყოფებიან თვითიზოლაციაში. თვითიზოლაციაში მყოფი ამომრჩევლები დღეს მიიღებენ ტექსტურ შეტყობინებას იმის შესახებ, რომ ისინი არჩევნების მეორე ტურში გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით მიიღებენ მონაწილეობას.

გერმანიის ელჩი: საქართველოს დასაკარგი დრო არა აქვს!

საქართველოს დასაკარგი დრო არა აქვს. არ შეიძლება იმის თქმა, რომ — „შეიძლება არჩევნები მომავალში უკეთესად ჩატარდეს და მაშინ მივიღებ მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში“, არამედ ახლა უნდა იმუშაოს ყველამ იმისთვის, რომ ქვეყანაში სიტუაცია უკეთესი გახდეს და ქვეყანა გამოწვევებს გაუმკლავდეს, — ამის შესახებ გერმანიის ელჩმა საქართველოში ჰუბერტ ქნირშმა „ინტერპრესნიუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

— როდესაც მოლაპარაკებები მიმდინარეობს, ეს ნიშნავს, რომ ჩიხში არ ვართ, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე ჯერ არ ვართ ბოლომდე მისულები. ამ დროს რომ საუბრები მხოლოდ წარსულზე მიმდინარეობდეს, გამოდის, რომ მხარეები ერთმანეთს უბრალოდ დროს აკარგვინებენ. მნიშვნელოვანია, რომ ის თემები, რომლებზეც მიდის საუბარი, დარჩეს კანონმდებლობის ფარგლებში. ქვეყანაში კონსტიტუცია არსებობს არა იმისთვის, რომ ყველა ახალ პოლიტიკურ სიტუაციაში რაღაც ახალი მოიგონო, არამედ იმისთვის, რომ მის ჩარჩოებში დარჩე და იქ მოძებნო გამოსავალი. ვხედავთ, რომ პარტიებს სულ უფრო ნაკლებად შეუძლიათ ერთმანეთთან საუბარი, რომ ისინი არ თანამშრომლობენ, ერთმანეთს მტრებად განიხილავენ იმის მაგივრად, რომ პარტნიორები იყვნენ დემოკრატიულ პროცესში. მე მგონია, რომ ამის გამო ერთეულ პიროვნებებს ვერ დავადანაშაულებთ, მაგრამ სხვადასხვა პიროვნებებს სხვადასხვა წვლილი მიუძღვით ამ განვითარებაში. ეს უფრო არის პროცესი, რომელსაც თავისი გარკვეული დინამიკა აქვს, რომელიც ბევრს თითქოს არც სურს, მაგრამ ეს პროცესი თითქმის ავტომატურად მიმდინარეობს, თუ მისი შეჩერება არ ხდება. მგონია, რომ ამ არჩევნებს პოლარიზებაში წვლილი არ შეუტანია, რადგან ეს არჩევნები ჩატარდა ახალი საარჩევნო სისტემით, რომელიც ყველა პარტიის დიალოგის საფუძველზე ერთხმად იქნა მიღებული, ანუ მიღწეულ იქნა კონსენსუსი. ეს იყო საარჩევნო სისტემა, რომელმაც საგრძნობლად მეტ პარტიას მისცა პარლამენტში შესვლის საშუალება. ეს არის ეფექტი, რომელიც ეწინააღმდეგება პოლარიზაციას და, რაც მთავარია, ოპოზიციური პარტიების მანდატების წილი საგრძნობლად გაიზარდა. მე მგონია, რომ ამით უფრო პლურალისტული და გაწონასწორებული პარლამენტი იქნება, რომელიც საკმაოდ კარგად ასახავს პოლიტიკურ მიმდინარეობებს საქართველოში“, — განაცხადა დიპლომატმა.

კობახიძე არ გამორიცხავს, რომ...

ირაკლი კობახიძე არ გამორიცხავს, რომ მმართველმა გუნდმა სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე მე-10 მოწვევის პარლამენტში არჩეული ოპოზიციონერი დეპუტატებისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს კენჭი არ უყაროს.

როგორც „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი განმარტავს, პარლამენტის გადასაწყვეტია, დაატოვებინებს თუ არა პარლამენტის წევრს პარლამენტს. მისივე მტკიცებით, „პარლამენტს შეუძლია, კენჭი არ უყაროს პარლამენტიდან მათ გასვლას“.

კითხვაზე, არის თუ არ მზად „ქართული ოცნება“ ოთხი წელი მარტო დარჩეს პარლამენტში, კობახიძემ განაცხადა, რომ „ეს არც ერთ შემთხვევაში არ მოხდება“.

„ეს შანტაჟის ერთგვარი ფორმაა. ნებისმიერ ქვეყანაში ოპოზიციამ შეიძლება არჩევნები წააგოს და თქვას, რომ არ შევდივარ, მოითხოვოს რიგგარეშე არჩევნები და ა.შ. შანტაჟის საწინააღმდეგო მექანიზმს კონსტიტუციაც შეიცავს. კონსტიტუცია ჭკვიანი ხალხის მიერ არის დაწერილი. ამაში იგულისხმება, რომ პარლამენტის და მისი უმრავლესობის ხელშია, ერთპარტიულს დატოვებს თუ არა პარლამენტს. შესაბამისად, შეიძლება, მარტივად პარლამენტმა გააკეთოს ის, რომ მოლაპარაკების სივრცე გახსნას შემდგომი 4 წლითაც კი. ეს არის კონსტიტუციაში ჩადებული მექანიზმი შანტაჟის წინააღმდეგ. პროცედურები ისეა გაწერილი, რომ პარლამენტის ნების გარეშე ამ შანტაჟს ვერავინ ვერ განახორციელებს. თავდაპირველად ხდება 150 დეპუტატის უფლებამოსილების ცნობა. ანუ ყველა შემთხვევაში, რა პოზიციაც არ უნდა ჰქონდეთ შესაბამის დეპუტატებს, 150-ვე დეპუტატი ითვლება დეპუტატად, მას შემდეგ რაც პირველ სხდომაზე 76 დეპუტატი, ანუ უმრავლესობა დაადასტურებს მათ უფლებამოსილებას. ამის შემდეგ, თითოეულ მათგანს შეუძლია, რა თქმა უნდა, დაწეროს განცხადება პარლამენტიდან გასვლაზე, მაგრამ პარლამენტის გადასაწყვეტია, დაატოვებინებს თუ არა მათ პარლამენტს. ეს არის შანტაჟის საწინააღმდეგო მექანიზმი. პარლამენტს შეუძლია, კენჭი არ უყაროს მათ გასვლას პარლამენტიდან“.

კახა კალაძე: ვფიქრობ, ბარიერგადალახული პარტიები მიიღებენ სწორ გადაწყვეტილებას და პარლამენტში განაგრძობენ მუშაობას

„კრიზისი დაძლევადია, ვფიქრობ, ბარიერგადალახული პარტიები მიიღებენ სახელმწიფოებრივად სწორ გადაწყვეტილებას და პარლამენტში განაგრძობენ მუშაობას“, — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში გამართულ ბრიფინგზე პარტიის გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ განაცხადა.

მისი თქმით, „ქართული ოცნების“ შეხვედრა ელჩებთან ჯერ არ ყოფილა. **„ისინი ხვდებიან ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს. როგორც კი ჩაინიშნება შეხვედრა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებთან, ყველაფერი გახდება ცნობილი როგორც მედიისთვის, ისე საზოგადოებისთვის“,** — აღნიშნა კალაძემ.

კახა კალაძე იმედოვნებს, რომ ბარიერგადალახული პარტიები მიიღებენ სახელმწიფოებრივად სწორ გადაწყვეტილებას და პარლამენტში განაგრძობენ მუშაობას. **„ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, დემოკრატიული განვითარებისა და ქვეყნის იმიჯისთვის. დარწმუნებული ვარ, ასევე ფასილიტატორი-ელჩების ჩართულობით (მინდა მათ მადლობა გადავუხადო თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის) შეთანხმების მიღწევა შესაძლებელი იქნება“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

ბადრი ჯაფარიძე: მზად ვართ, ვიმუშაოთ „ქართულ ოცნებასთან“ ერთად!

ჩვენს მეგობრებს აწუხებთ პოლიტიკური კრიზისი, რომელიც შექმნილია ჩვენს ქვეყანაში, ეძებენ გზებს და ჩვენთან ერთად, მსჯელობენ ამ კრიზისიდან გამოსავალზე. ეს იყო ჩვენი განხილვის საგანი. პოლიტიკური კრიზისი სახეზეა. ჩვენ, ყველამ ერთად, მათ შორის, **„ქართულმა ოცნებამ“ ერთად უნდა ვიმუშაოთ, იმისთვის, რომ ამ კრიზისიდან გამოვიდეთ,** — განაცხადა ბადრი ჯაფარიძემ ევროკავშირის ელჩთან კარლ ჰარცელთან შეხვედრის შემდეგ.

„ამ შემთხვევაში, გაუცხოება და ერთმანეთთან დაპირისპირება არაა გამოსავალი. ჩვენი პოზიცია არ დაგვიმალავს; ოპოზიცია მიიჩნევს, რომ არჩევნები გაყალბდა და ჩვენი ღრმა რწმენით, ერთადერთი გამოსავალია ახალ არჩევნებთან დაკავშირებით შეთანხმება. „ქართულ ოცნებას“ უნდა ესმოდეს, რომ დაპირისპირება და ოპოზიციის უგულებელყოფა მხოლოდ აღრმავებს კრიზისს. ამიტომ, ჩვენ ერთად უნდა ვიმუშაოთ, მათ შორის, „ქართულმა ოცნებამაც“, ერთად უნდა ვიმუშაოთ. შეთანხმება არ იქნება ერთ-ერთი მხარის დამარცხება. ეს იქნება, ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის გამარჯვება. ამ შეხვედრაზე განვიხილეთ შექმნილი ვითარება და განვიხილეთ გამოსავლის შესაძლებლობები. იმედი გვაქვს, რომ „ქართული ოცნება“, ასევე, პასუხისმგებლობით მიუდგება იმ რთულ ვითარებას, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით და მზად ვართ, ვიმუშაოთ მათთან ერთად, რომ პოლიტიკური კრიზისიდან გამოსავალი მოიძებნოს“...

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი სააკაშვილის განცხადებას გმობს

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა გმობს თავდასხმებს საქართველოს არჩევნებში საპარლამენტო ასამბლეის სადამკვირვებლო დელეგაციის ხელმძღვანელზე.

„ძალიან სამწუხაროა, რომ საქართველოში გარკვეული პოლიტიკური წარმომადგენლები ახორციელებენ უსაფუძვლო თავდასხმებს საქართველოს არჩევნებში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სადამკვირვებლო დელეგაციის თავმჯდომარის პირადი მიუკერძოებლობის წინააღმდეგ“, — აცხადებს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი რიკ დაემსი.

„მისი განცხადებები, რომლებიც ასახავს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის პოზიციას, გაკეთდა არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში ჩვენს პარტნიორებთან ერთობლივად. მართალია, ყველას აქვს უფლება, არ დაეთანხმოს მათ მიგნებებსა და დასკვნებს, დაუშვებელია საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის მიუკერძოებლობის კითხვის ქვეშ დაყენება. შესაბამისად, მე მოვუწოდებ ყველა პოლიტიკურ მხარეს ასეთი უსაფუძვლო ბრალდებებისგან თავშეკავებისკენ“, — განაცხადა ბატონმა დაემსმა.

შეგახსენებთ, მიხეილ სააკაშვილმა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელს ტინი კოქსს რუსეთის აგენტი უწოდა. ასევე, „ლელოს“ წევრმა ფიქრია ჩიხრაძემ განაცხადა, რომ ის კოქსთან მიმართებით ამ შეფასებას ეთანხმება. ევროსაბჭოს საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელი, დეპუტატი ტინი კოქსი საქართველოში 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს აკვირდებოდა. მიხეილ სააკაშვილისა და ოპოზიციის ნაწილის მიერ მის მიმართ ბრალდებები მას შემდეგ გაჟღერდა, რაც კოქსმა განაცხადა, რომ **„მისალოცია, არჩევნების მშვიდობიანად გამართვა, რაც ყოველთვის არ ხდება“.** ამასთან, მისივე თქმით, კენჭისყრისა და მომდევნო დღეს დემონსტრაციები არ არის მომწიფებული დემოკრატიისა და იმის ნიშანი, რომ პატივს სცემ ამომრჩევლის გადაწყვეტილებას.

მიხეილ დუნდუა: „გლობალური კეთილდღეობის ინდექსში“ საქართველოს აქვს ისტორიული მაქსიმუმი!

ფინანსთა მინისტრის მოადგილის მიხეილ დუნდუას თქმით, 2020 წელს საქართველო კეთილდღეობის მსოფლიო რეიტინგში უსწრებს ყველა მეზობელ ქვეყანას, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან კი მხოლოდ ბალტიისპირეთს ჩამორჩება.

„ყველაზე სასიხარულოა, რომ ანგარიშში საქართველოს დაეთმო სპეციალური თავი, სადაც ჩვენი ქვეყანა დასახელდა ღია აღმშენებლობის, მდგრადი და კონკურენტუნარიანი ეკონომიკური განვითარების ყველაზე თვალსაჩინო, დამაჯერებელ მაგალითად. აქ განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ინვესტორთა დაცულობა, საგადასახადო რეფორმა, რაც ჩვენი ფისკალური პოლიტიკის წარმატებაზე მიუთითებს. ანგარიში ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურია და მასში საქართველო გამორჩეულია როგორც ქვეყანა, რომელმაც ბოლო წლებში ბევრი გააკეთა, რათა განვითარების სწორ გზაზე დამდგარიყო, რაც გულისხმობს ქვეყნის მიზანს მიაღწიოს სიღარიბიდან კეთილდღეობამდე“, — განაცხადა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ მიხეილ დუნდუამ. საქართველომ 2020 წლის „კეთილდღეობის ინდექსში“ შეფასების 100%-ანი სკალიდან 61.8%-ი მიიღო და სარეიტინგო პოზიცია 53-ე ადგილზე შეინარჩუნა.

ჩვენმა სამხედროებმა ამერიკული ხელის ტყვიამფრქვევის M249 გამოყენების კურსი დაასრულეს

საქართველოს თავდაცვის ძალებში შეიარაღების მოდერნიზაციის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. აშშ-ის მხარდაჭერით, საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფები ამერიკული წარმოების ნატოს 5,56 მმ კალიბრის M249 ტიპის ხელის ტყვიამფრქვევებით უკვე აღიჭურვა.

როგორც თავდაცვის სამინისტრო იუწყება, საერთო საჯარისო ცენტრში ქართველმა სამხედრო მოსამსახურეებმა სპეციალური მომზადების ორკვირიანი კურსი გაიარეს, სადაც ამერიკელმა ინსტრუქტორებმა მათ ტყვიამფრქვევის სათანადოდ გამოყენების მიზნით თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები ჩაუტარეს. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, პრაქტიკული მეცადინეობების ფარგლებში, სწავლების მონაწილეები 100-დან 600 მეტრამდე დისტანციაზე სასწავლო სროლის სავარჯიშოებს კრწანისის პოლიგონზე ერთი კვირის განმავლობაში ასრულებდნენ.

◎ წკეპლიკა

„გადაყვირება“...

ქართული პოლიტიკური ცხოვრების დამახასიათებელი ნიშანია ოპონენტის ყვირილით ჩაჩუმება, ანუ „გადაყვირება“. მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს მრავალი დეციბალით ხმამაღლა. დიახ, არა დარწმუნება, არა დაჯერება, არამედ სწორედ „გადაყვირება“. რა თქმა უნდა, ეს ყველაზე არ ითქმის. არიან ადამიანები, რომლებიც არა მხოლოდ უფრთხილდებიან თავიანთ სახმო სიმებს, არამედ ცდილობენ, ოპონენტი დაჩაგრონ არგუმენტთა წონით. მაგრამ პოლიტიკოს-მძიმეწონოსნის ჭეშმარიტი წონა განისაზღვრება არა ლოგიკის, არამედ დეციბალების ძალით, ან, ღმერთო, დაიცავი ჩვენი ყურები, სულაც ღრიალით. ტექნოლოგია ასეთია, გამოდის პოლიტიკოსი ტრიბუნაზე, ან სულაც სატელევიზიო ეთერში, იწყებს ლაპარაკს, დასაწყისში მისი სიტყვა მდინარებს მდორედ, წყნარად, მაგრამ შემდეგ ხმის ტემბრი და ძალა მკვეთრად მატულობს, სიტყვები ხმამაღლა, უფრო ხმამაღლა ხმიანობს, და რამდენიმე წუთის წინათ თითქოს ნორმალური კაცი ღრიალებს, ბღავის, თითქოს ეშმაკი შეუჯდაო, თითქოს ემუქრება ოპონენტს, განადგურებით ემუქრება და ეს — ხალხის სახელით. ძალზე კომიკური სანახაობაა!

ბევრს ახსოვს, რა მღელვარედ, ყვირილში გადასული

...პარგაზ მომისმინეთ ვაი-პოლიტიკოსებო!

სირცხვილის დერეფნებს აღარ მოვაწყობთო, გამოაცხადეს. შეიწყალეს ხალხი. მადლობა უნდა გითხრათ მოსახლეობამ?

ვინც გამოხვედით, არ ჩავატარებთო, უნდა გეთქვათ, რომ ემიჯნებით. გაიგეთ სხვაობა?

ჯერ ვინ ხართ, რას წარმოადგენთ, საზოგადოებას რომ იწვევთ და საკუთარ თავს წესზე, ეთიკაზე და კანონზე მაღლა აყენებთ?

ან ვინ გვესაუბრებით, ვინც სირცხვილის დერეფნებში უნდა ეტარებინეთ ხალხს?!

ან 5 წუთის წინ გაპოლიტიკოსებული, გაუგებრობაში მოხვედრილები როგორ ბედავთ და ამბობთ, ჩავატარებთ, ან არ ჩავატარებთო?! ვინ ხართ, რას წარმოადგენთ?! ვინ მოგცათ ამდენის გაბედვის უფლება?!

ან არჩევნების დღეს, როცა დუმილის დღეა, როგორ ბედავთ რაიმე აქციის მოწყობას?

ლოგიკასთან როგორ ხართ? გატყობთ მწყრალად!

გაყალბებაზე რომ საუბრობთ, ხალხმა გააყალბა? არა.

აბა ხალხისთვის სირცხვილის დერეფნის მოწყობა ვის მოღუნულ ტვინში დაიბადა, ვინც გააქღერა, თუ ესეც გარედან შემოგდებულია?

ხალხი გაძლევთ მანდატს თქვენც, სხვებსაც და პირველ ადგილზე გასული პარტიის ამომრჩეველს აშინებთ სირცხვილის დერეფნით ან სხვა სახის აქციით?

საერთოდ, როგორც თქვენს თავს უწოდებთ, პროევროპულები თუ მედასავლეთეები, როგორ მოუწოდებთ ან თქვენს, ან სხვის მომხრეებს, არჩევნების ბოიკოტისკენ? ესაა დასავლური ღირებულება?

არჩევნებზე უნდა მივიდეს ყველა პარტიის მომხრე და, ან ბიულეტენი გადახაზოს, ან შემოხაზოს მეორე ტურში გასულიდან ერთ-ერთი.

თუ პოლიტიკოსობთ, განა პოლიტიკოსები ხართ? ან ზოგიერთი პოლიტიკოსობასაც როგორ ბედავთ, თქვენი წარსულიდან გამომდინარე?

ხალხი ერთმანეთს წაჰკიდეთ, წლებია, ზიზღს და სიძულვილს, დეპრესიას თესავთ. თქვენ პოლიტიკაში ყოფნის ღირსი არ ხართ!

ქართული ოცნების პასუხისმგებლობად დარჩება, თქვენ რომ ამდენს თავხედობთ, იმის ნაცვლად, რომ ცოდვებს ინანიებდეთ. ძველ ამბებზე რომ არ ვილაპარაკო, მხოლოდ ის გეყოფათ, წელიწადია, ჯანდაცვის სისტემას ებრძვით, ვირუსის მხარეს დგახართ, ვირუსს ავრცელებთ. ხალხი იხოცება და თქვენს ნამოქმედარზე პასუხს არავინ გთხოვთ. მიტინგს მიტინგზე აწყობდით ყოველგვარი ნორმების უგულებელყოფით.

სტრასბურგმა შავაძის საქმეზე განაჩენი გამოაქვეყნა. სირცხვილის დერეფანში რომ ხართ გასატარებელი, იცით? 2008 წლის ომის მონაწილეს როგორ მოექეცით?!

ახლა რაც შეეხება პარლამენტში შესვლა-არშესვლას.

აშშ, სხვა მეგობარი ქვეყნები, ევროსაბჭოს და ნატოს საპარლამენტო ასამბლეები, ეუთო-ოდირი და საელჩოები მოგიწოდებენ პარლამენტში შესვლაზე.

ესენი არ არიან ავტორიტეტები და თქვენი ზღვარგადასული, კრიმინალი, მსჯავრდებული ლიდერის ჭკუაზე უნდა იაროს ქვეყანამ?!

რა იყო, ბევრი დახარჯეთ არჩევნებზე და დამფინანსებლების დაკვეთას ასრულებთ?

ელჩებთან საიდუმლოდ ნალაპარაკები ერთმა პოლიტიკოსმა გამოსვლისთანავე გაასაჯაროვა, მეორემ ერთ საათში მიტინგზე დაამღერა. ამის შემდეგ რამდენიმე საათში გამართულ ბრიფინგს გადააბრალეთ, საიდუმლოება „გაგვიბაზრესო“

ამით აღიარეთ, რომ არც ბიულეტენების გადათვლა გინდათ, არც ვიდეოჩანაწერების ნახვა. აბა, რა გინდათ?!

მთელი ქვეყანა ნერვიულობს, შეხვალთ თუ არა პარლამენტში. პირადად მე მესამედ გეუბნებით, აი დარდი!..

ან შესაშვები ხართ?

ოპოზიციაში კი არა, ოცნების სიიდან არაა ყველა პარლამენტარის მანდატის ღირსი. ზოგს წარმოდგენა არ აქვს, რა ხდება ქვეყანაში და პარლამენტში რა უნდა აკეთოს! ჰოდა, ოპოზიცია გაგვიხდა სადარდებელი? ოპოზიცია მთლიანად ხართ პოლიტიკიდან გასაშვები.

თქვენს ხელში ჩვენს ხალხს სიმშვიდე არ უწერია.

უამრავი მიზეზი მაქვს პირადიც და საზოგადოებრივიც, რომელთა გამო პარტიებს, სანამ მათ რიგებში გარკვეული პოლიტიკოსები ირიცხებიან, ხმას არასდროს მოგცემთ.

როდისმე ალბათ პირად მიზეზებსაც მოვყვები. ალბათ არჩევნებს შემდეგ... თუმცა, ზოგი რამ ახლობლებსაც არ გაუგიათ. მაგრამ, პირადის გამო არასდროს გამომითქვამს სუბიექტური მოსაზრება. 2005 წლიდან მედიასივრცეში ვარ. პოზიცია კონკრეტულ ფაქტებთან, პროცესებთან, კონკრეტულ პირებთან დაკავშირებით არ შემცვლია. ნახეთ ჩემი სტატიები.

ხმების მიტაცებაზე საუბრობთ. ხმებიც გაქვთ მიტაცებული, ადამიანების სიცოცხლეც, მათი ბედნიერებაც, ქონებაც, ბიზნესებიც, პირადი სივრცეც...

ამის მიუხედავად, ქართველ ხალხს არ მოსვლია აზრად, თქვენ წინააღმდეგ სირცხვილის დერეფნები მოეწყო!

მსგავსი აზრი შეიძლება შობოს მხოლოდ მახინჯმა ტვინმა და სულმა.

კიდევ ერთი, გადახედეთ საკუთარ ქონებრივ დეკლარაციებს, ჯერ 2005 წლის, შემდეგ ამჟამინდელს.

ახლა, რაც შეეხება მეორე ტურს.

მთელი დასავლური სამყარო გეუბნებათ პარლამენტში შედითო. სახელმწიფო დეპარტამენტის წერილს არასწორად უთარგმნით მოსახლეობას და არასწორად აშუქებთ.

ჰოდა, თქვენს ჭკუაზე ვივლი და მეორე ტურზე არ წავალ?

ოჯახში რაღაც სერიოზული პრობლემა შეგვექმნა და არ მეარჩევნება, მაგრამ აუცილებლად გამოვნახავ დროს და წავალ. ბიულეტენში ეწერება გირჩი და ვოლსკი. ერთი არგუმენტი დამისახელეთ, რომ გირჩი შემოვხაზო?!

* * *

ვინც იცის, რას ნიშნავს სირცხვილის დერეფანი, რამდენად დიდი შეურაცხყოფაა, ყველა ვინც ეს გაახმოვანა, ვინც განიხილავდა და ვინც არ გაემიჯნა, ვინც თქვა, არ ჩავატარებთო კი არა, ვინც არ გაემიჯნა, ყველანი ხართ პოლიტიკიდან კინწისკვრით გასაყრელები.

პოლიტიკურ კრიზისზე საუბრობთ. პოლიტიკური კრიზისი კი არა, მისი შექმნის მცდელობებია.

უფრო სწორად, დღევანდელი ვითარება არის პოლიტიკური თანაცხოვრების (კოჰაბიტაცია) და პოლიტიკური კულტურის კრიზისი.

ხალხი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაჰკიდეთ, წლებია, ზიზღს და სიძულვილს, დეპრესიას თესავთ. თქვენ პოლიტიკაში ყოფნის ღირსი არ ხართ!

ამირან სალუქვაძე.

რა არის აქ საკომენტარო?

ხმით წარმართა თავისი სიტყვა 2012 წელს სპორტის სასახლეში ერთ-ერთ წინასაარჩევნო მიტინგზე თბილისის ყოფილმა მერმა გიგი უგულავამ. ამჯერად ბღავილი ახლდა ყოველ მის გამოსვლას ზუგდიდში, სადაც მაჟორიტარობის კანდიდატად იყრიდა კენჭს, იყო ეს წინასაარჩევნო მიტინგი თუ სატელევიზიო ჩართვა. გიგის არ ჩამორჩებოდნენ მისი ყოფილი თუ დღევანდელი თანაპარტიელები, თვითმარქვია „პრემიერ-მინისტრი“ გიორგი ვაშაძე, თუ პარტია „ლელოს“ ახალწვეულები — სამოვარივით მდუღარე ბატონ სამუშიას ტიპისნაირნი, აგრეთვე სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების ქალბატონები, რომლებიც ხშირად უხამს კივილზე გადადიან.

ზოგიერთი პოლიტიკოსის ლოგიკაში ყველაფერი წესრიგში ვერ არის. პარტია „ლელოს“ პირველმა კაცმა მამუკა ხაზარაძემ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური აღორძინების თავის გეგმას რატომღაც „მარშლის გეგმა“ უწოდა. მაგრამ რა დამოკიდებულება აქვს საქართველოს „მარშლის გეგმასთან“, ან „მარშლის გეგმას“ საქართველოსთან? ისმენ ათასჯერ მოსმენილ „მარშლის გეგმა, „მარშლის გეგმა“ და თავს იმტვრევ: რას უნდა ნიშნავდეს ეს? ალბათ, ბატონ ხაზარაძეს თავისი წინასაარჩევნო დროისა და ცეცხლის დიდი ნაწილი იქითკენ უნდა მიემართა, რომ უკეთ განემარტა ამომრჩევლისთვის ღრმა აზრი, რომელიც ალბათ ჩადებულია ამ გეგმის დასახელებაში. ცნობილია, რომ ჯორჯ კ. მარშალი აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი იყო. ცნობილია ისიც, რომ მისი სახელი ეწოდა მეორე მსოფლიო ომით დანგრეული ევროპის სწრაფი აღორძინების ამერიკელთა გეგმას. მაგრამ საქართველო აქ რა შუაშია? ალბათ, ბატონი ხაზარაძე, როცა თავის გეგმას სახელწოდებას ურჩევდა, მიანიშნებდა, რომ თავისი გრანდიოზულობით იგი შეესატყვისება „მარშლის გეგმას“, რომელმაც გარდაქმნა ევროპა. ამ კუთხით შეიძლება რამდენიც გნებავთ, იმდენი თავსატეხი მოიგონო, მაგრამ ენაზე უმალ ეს სხარტულა მოგადგება — „სად ერეკლე და სად ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეო“.

კიდევ ერთი საკითხი მინდა „გავაიასნო“. ვისმენდი და ვისმენ ლანძღვა-გინების იმ ნიაღვარს, რომელიც თავს დაატყდა პარტია „ქართული ოცნების“ ლიდერს ბიძინა ივანიშვილს, მისი იმ განზრახვის გამო, რომ დახმარებოდა თანამოქალაქეებს ევროპაში სამუშაოს შოვნაში და გამახსენდა: სწორედ ეს იდეა იყო 2018 წელს ძირითადი ნაწილი პრეზიდენტის პოსტზე „ევროპული საქართველოს“ კანდიდატის დავით ბაქრაძის წინასაარჩევნო პროგრამისა. მისი ფიცისმაგვარი დაპირება მოკლე და ნათელი იყო: როგორც კი პრეზიდენტი გახდება, იგი შემოივლის დასავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფო ლიდერს და მოღვაწეს, მოიპოვებს იმათ თანხმობას საკუთარ ქვეყნებში საქართველოდან გასტარბაიტერების დაუბრკოლებლად შესვლისა და სამუშაოზე მოწყობის საქმეში. ბატონ ბაქრაძის პროგრამის ამ ნაწილმა მაიძულა, 2018 წლის ოქტომბერში გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ ფურცლებზე გამომექვეყნებინა ეს მცირე კომენტარი: **„ადგილობრივ საზოგადოებას ტვინს უბურღავს პრეზიდენტობის კანდიდატი „ევროპული საქართველოდან“ დავით ბაქრაძე. ფიქრობთ, ძვირფასო მკითხველებო, რას უნდა შეჰპირდეს თავისი არჩევის შემთხვევაში პრეზიდენტობის კანდიდატი ისეთი ქვეყნისა, როგორიც საქართველოა, სადაც მძვინვარებს უმუშევრობა და მოსახლეობის მესამედი პურის ძიებაშია.**

და იძულებულია უცხოეთში გაიქცეს? პასუხი თავისით მოდის. ის უნდა შეეცადოს, შექმნას თავის ქვეყანაში სამუშაო ადგილები და საერთოდ, ცხოვრების ისეთი პირობები, რაც იძულებით გადასახლებულებს სურვილს აღუძრავს ჩქარა დაბრუნდნენ შინ. მაგრამ არა! „ევროპული საქართველოს“ კანდიდატი აღგვითქვამს, რომ არჩევის შემთხვევაში ჭენებით შემოითქარუნებს ევროპის ქვეყნებს და მათ ლიდერებში ჩამოიმათხოვრებს კვოტებს ქართველი ემიგრანტების უცხოეთში შეუფერხებელი ცხოვრებისა და მუშაობისთვის. იოლი წარმოსადგენია, რა დაემართება საქართველოს ასეთი, უკაცრავად პასუხია, პოლიტიკით, თითქმის დატერორებული ქვეყანა რამდენიმე წლის შემდეგ საერთოდ გაუკაცრიელდება!

საინტერესოა, რომ არც ორი წლის წინათ, არც მოგვიანებით, დავით ბაქრაძის პროგრამის ამ ნაწილის გამო კრიტიკის ერთი სიტყვაც არ თქმულა.

ახლა კი, ოჰოჰოჰო!

ასეა საქმე.

რა არის აქ საკომენტარო?!

ვადიმ ანასტასიადი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

ერთი შეხედვით, თითქმის შეუძლებელია, მნიშვნელოვანი სტრატეგიული პოზიციების მქონე, რამდენიმე ამბიციური ადამიანის პოლიტიკური ნაბიჯების გამოთვლა, შესაძლო მოქმედებების სქემებისა და მოდელების აგება და, ამის საფუძველზე, რაიმე მოწესრიგებული ჰიპოთეზისა და კონცეფციის ჩამოყალიბება. თუმცა, XVII საუკუნის ინგლისის რევოლუციის, XVIII საუკუნის საფრანგეთის რევოლუციის, XX საუკუნის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის და ოქტომბრის გადატრიალების შესწავლისას იოლად შესამჩნევი ხდება, რომ ისინი გამეორებად სცენარებს შეიცავენ. XXI საუკუნის ფერად რევოლუციებსაც უამრავი მსგავსება აქვს საუკუნის წინანდელ პროცესებთან, ოღონდ, თანდათანობით, სახელმწიფო გადატრიალების ტექნოლოგიებში არაძალადობრივი მეთოდების ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა და პროცესები უსისხლოდ, ან თითქმის უსისხლოდ ჩატარდა.

არეულობის მიზნით შეთითხნილი ფარსი!

მიშას პოლიტიკური ცუგცვანგი

სააკაშვილი იმყოფება ერთგვარი ცუგცვანგის პოზიციაში – რა ნაბიჯიც არ უნდა გადადგას, მხოლოდ გაიუარესებს მდგომარეობას.

XIX საუკუნის შუა პერიოდიდან გამოჩნდა რამდენიმე ნაშრომიც სახელმწიფო გადატრიალების განხორციელების ტექნიკა-ტექნოლოგიის შესახებ. როგორც გადატრიალებების თანამედროვე თეორეტიკოსი ედვარდ ლიუტვაკი მოგვითხრობს: „ამ მიმართულებით დეტალური ინსტრუქციების ფორმულირება მოახდინა მემარცხენე ლიდერმა ბლანკიმ, მაგრამ მის თხზულებას წარმატება არ მოჰყოლია. ბლანკის წინამორბედის გაბრიელ ნოდის ნაშრომი გამოქვეყნდა პარიჟში XVII საუკუნის ბოლოს. ნოდის კონცეფცია – „ოსტატური გადატრიალება“ – იყო გაცილებით ვრცელი, ვიდრე სახელმწიფო გადატრიალება თანამედროვე გაგებით. ხოლო უილიამ კინგის მიერ შესრულებული ინგლისური თარგმანი, 1711 წელს გამოჩნდა სათაურით „პოლიტიკური მოსაზრებები დიდ პოლიტიკაზე და სახელმწიფო გადატრიალების ხელოვნებაზე“.

სამწუხაროდ, ბლანკის და ნოდის ნაშრომები ინტერნეტითაც ვერ მოვიძიე.

მეოცე საუკუნის მეორე-მესამე ათწლეულში განხორციელებული რევოლუციების ტექნოლოგიების შესახებ საინტერესო ნაშრომებია კურციო მალპარტეს „სახელმწიფო გადატრიალების ტექნიკა“ და ანტონიო გრამშის „ციხის რვეულები“ (მესამე ნაწილი).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მსოფლიოს გადანაწილების ახალ სქემას, ხელისუფლების არაკონსტიტუციური ცვლილებების „მოდერნიზირებული სამხედრო“ ტექნოლოგიები მოჰყვა, რომლის უბადლო დიდოსტატია, უკვე ნახსენები ედვარდ ლიუტვაკი, ნაშრომით „სახელმწიფო გადატრიალება. პრაქტიკული სახელმძღვანელო“.

პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკურ დაშლა-დანაწილებისას, გაცილებით დახვეწილი ტიპის რვოლუციური სცენარი იქნა გამოყენებული, რომლის ავტორი ჯინ შარპია რამდენიმე ნაშრომით. მათგან ძირითადია, არაძალადობრივი ბრძოლის იდეაზე დაფუძნებული სახელმძღვანელო – „დიქტატურიდან დემოკრატიისკენ“.

საქართველოში –„ვარდების რევოლუცია“, ყირგიზეთში „ტიტების რევოლუცია“ და 2010 წლის მოვლენები, არაბეთში „არაბული გაზაფხული“, 2018 წლის სომხეთის რევოლუცია (ფაშინიანის ხელმძღვანელობით) და მრავალი სხვა სახალხო საპროტესტო მოძრაობა, მნიშვნელოვანწილად, „ხავერდოვანი რევოლუციის“ იდეოლოგის ჯინ შარპის არაძალადობრივი ბრძოლის თეორიის მეთოდების გამოყენებით განახორციელეს.

ამრიგად, დროთა განმავლობაში გამოიკვეთა სახელმწიფო გადატრიალების შესასრულებლად აუცილებელი პირობებისა და ფაქტორების სისტემური ჩამონათვალი, რომლის ცოდნასა და დაცვას მიზეზ-შედეგობრივ თუ არა, კორელაციურ ფინალამდე მაინც მივყავართ, რაც პრაქტიკულად არაერთხელ იქნა დადასტურებული.

ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲠᲓᲔᲜᲘ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲔᲑᲘ ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲑᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘᲐ: ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛᲝᲡᲘᲚᲔᲑᲐ (ᲚᲔᲒᲘᲢᲘᲛᲣᲠᲝᲑᲐ), ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲝ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘ, ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲪᲝᲓᲜᲐ, ᲐᲠᲐᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ (ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ, ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ) ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ, ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ (ᲓᲐᲡᲯᲐ).

ხელისუფლების განკარგულებაში არსებული გავლენის (ძალაუფლების) ეს ექვსივე წყარო, საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერის, მორჩილებისა და თანამშრომლობის წყალობითაა.

როდესაც მმართველ სისტემას ეზღუდება ან საერთოდ ესპობა ხელმისაწვდომობა გავლენის (ძალაუფლების) ექვს დამოუკიდებელ წყაროსთან – ხელისუფლება სუსტდება და მისი დამხობა იოლადაა შესაძლებელი.

ამრიგად, თანამედროვე ტექნოლოგიების მიხედვით, ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის ბრძოლა მიმდინარეობს ამ ძალუფლების 6 წყაროს მოსარღვევად, თუმცა გვრჩება კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი: არაძალადობრივი ბრძოლა, თავისი არსით, არის საზოგადოებაში დამკვიდრებული, ზნეობრივ ღირებულებათა სისტემაზე დაფუძნებული ეთიკური და სოციალური კონცეფცია და პრაქტიკა, რომლის მიზანია მოწინააღმდეგის აზროვნებასა და გრძნობებზე აპელირება, რათა ის იძულებული გახდეს აღიაროს ოპონენტის (ოპოზიციის, წინააღმდეგობის მოძრაობის...) მორალური უპირატესობა და მოქმედებების სამართლიანობა.

სწორედ ამ მომენტს ვერ ან არ ითვალისწინებენ სააკაშვილი და მის ფრთებს შეფარებული გაერთიანება.

2003 წელს, შევარდნაძის კლეპტოკრატიული მმართველობის პირობებში, სააკაშვილი, ექსცენტრულ-არაორდინარული თვისებებისა და უნარ-ჩვევების მიუხედავად, მხსნელ მზეჭაბუკად წარმოჩინდა. მმართველი ძალა მრავალრიცხოვანმა პოლიციის კორდონებმაც ვერ იხსნეს. უნდა გავიხსენოთ, რომ ამ პოლიციელების ხელფასი იმ დროს 80-90 ლარი იყო, რომელსაც ხშირად არც აძლევდნენ და თანამდებობის შესაბამის ყოველთვიურ „შენატანს“ იქით თხოვდნენ. „ვარდების რევოლუციის“ პათოსი, საზოგადოების სხვა ნაწილებთან ერთად, ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლების დიდი ნაწილისთვისაც მომხიბლავად გამოიყურებოდა. ამიტომ და სხვა მსგავსი მიზეზების გამო, იოლად მოხერხდა კორუმპირებული ბიუროკრატიული აპარატის ჩამოშლა.

თუმცა, ჰერაკლიტე ეფესელის არ იყოს, „მდინარის ერთსა და იმავე წყალში ორჯერ ვერ შეხვალ“, რადგან „წყალიც სხვაა და შენც სხვა ხარ უკვე“. 2020 წლისთვის საქართველოში შექმნილი ვითარება კარდინალურად განსხვავდება 17 წლის წინანდელისაგან.

დღეისათვის საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ცნობიერებაში სააკაშვილის მმართველობის პერიოდი ასოცირდება ადამიანის ღირსების შელახვის, საკუთრების უფლების ხელყოფის, ფიზიკური დასახიჩრება-განადგურების, სასამართლო უსამართლობის ხანად. იმ პერიოდისათვის, ნაწილობრივ მაინც დაცულნი, თავად სააკაშვილის პრემიერ მინისტრებიც არ ყოფილან, რომლებიც ხშირად განიცდიდნენ მისგან ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. ამას ემატება სასტიკად დარბეული მიტინგები, 2008 წლის ომის დროს გამოვლენილი ლაჩრული ქმედებები და „ვარდების რევოლუციის“ გმირი ძველი შარავანდედის მატარებელი აღარ არის. ამიტომ, სააკაშვილის რაიმე მორალურ უპირატესობაზე საუბარი აბსურდია.

გარდა ამისა:

არჩევნების პერიოდში ოპოზიციამ მოსახლეობას ვერც ერთი ისეთი პოლიტიკური, ეკონომიკური ან სოციალური პაკეტი ვერ წარუდგინა, რომლის განხორციელებაც საზოგადოებამ პრიორიტეტულად ჩათვალა და ამავდროულად დაიჯერა, რომ ოპოზიცია, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ამას ნამდვილად განახორციელებდა.

მოსახლეობის ცნობიერებაში მხოლოდ ერთი წინასაარჩევნო შეპირება (უფრო სასოწარკვეთილი თხოვნა) აისახა – გავუშვათ ივანიშვილი, მოვალთ ჩვენ!

მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიცია, ოპოზიციური მასმედია, მათივე, ვითომ „საზოგადოებრივი“ ორგანიზაციები მუდმივად გაჰკივიან, რომ არჩევნები ტოტალურად გაყალბდა, ამის არ სჯერათ თავად ოპოზიციის იმ წევრებსაც, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობდნენ. მათ იციან, რომ „გაყალბების“ ისტორია არეულობის გამოწვევის მიზნით შეთითხნილი ფარსია.

ყველა დამოუკიდებელი სოციოლოგიური გამოკითხვა მიახლოებულია არჩევნების რეალურ შედეგებთან. არჩევნების მასობრივ გაყალბებას ვერც ერთი დამოუკიდებელი დამკვირვებელი ვერ ადასტურებს.

გაზვიადებული და პროვოცირებული მიზეზებით, ვითარების დაძაბვის და გადატრიალების გზით ხელისუფლებაში მოსვლის სურვილის გამოხატულებამ, სააკაშვილის მიმართ უნდობლობა უფრო გაზარდა. ამგვარი უტიფარი ქმედებები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იგი სრულებით არ ნანობს ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ჩადენილ დანაშაულებს და ერთი სული აქვს მოიპოვოს ძალაუფლება, რევანშის უსასტიკესი ფორმით აღსასრულებლად.

პირველივე მიტინგებმა აჩვენეს, რომ არჩევნებზე ოპოზიციის მხარდამჭერი ელექტორატი ქუჩაში გამოსვლებს დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრია. დაანონსებული სახელმწიფო გადატრიალების მოსურნე სააკაშვილი თავად საქართველოში არ იმყოფება, ვერც ჩამოდის და არც აპირებს ჩამოსვლას. პრეზიდენტყოფილის ჩამოსვლა მისივე გუნდის წევრების მნიშვნელოვან ნაწილს არ სურს.

გაერთიანებული ოპოზიციის გარკვეული ნაწილი, ხმამაღალი განცხადებების მიუხედავად, მზად არის მოქმედებები საკანონმდებლო დარბაზიდან გააგრძელოს. ოპოზიციის პარლამენტში შესვლაზე სააკაშვილის თანხმობაც და უარის თქმაც ერთნაირად დააზარალებს სააკაშვილის ისედაც შელახულ რეპუტაციას.

ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲐᲩᲕᲔᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲣᲜᲐᲠᲘ, ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲐᲓᲐᲪ ᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝᲡ.

ამრიგად: სააკაშვილის ხელმძღვანელობით მოქმედი ოპოზიცია ვერ შეძლებს ხელისუფლების ლეგიტიმაციის ეჭვქვეშ დაყენებას;

ხელისუფლებას გააჩნია საკმაო ცოდნა და გამოცდილება, წინ აღუდგეს პროვოკაციულ მოქმედებებს;

არსებული ოპოზიციური მოძრაობის მოქმედებების ფორმა და შინაარსი ვერ მოახერხებს ბიუროკრატიული აპარატის ჩამოშლას;

ოპოზიცია ვერ გამოიყვანს ქუჩაში ხალხის დიდ რაოდენობას;

ხელისუფლების განკარგულებაში არსებული რესურსები ისევე იოლად იქნება მისთვის ხელმისაწვდომი, როგორც არჩევნებამდე იყო.

ამგვარად, შეიძლება დიდი ალბათობით დავასკვნათ, რომ:

სააკაშვილი იმყოფება ერთგვარი ცუგცვანგის პოზიციაში – რა ნაბიჯიც არ უნდა გადადგას, მხოლოდ გაიუარესებს მდგომარეობას.

არსებული ძალთა განლაგებით, ოპოზიციის ხელისუფლებაში მოსვლა სამხედრო გადატრიალების საშუალებით, ან ხავერდოვანი რევოლუციის მეთოდების დახმარებით – შეუძლებელია!

და საერთოდ, უახლოეს მომავალში მაინც, სანამ ოპოზიციის ყველაზე ძლიერი ნაწილი მიხეილ სააკაშვილისა და ენმ-ის დაქვემდებარების ქვეშ იქნება გაერთიანებული, შეშინებული ამომრჩეველი იმ ძალის გარშემო მოახდენს კონცენტრირებას, ვისი იმედიც ექნება, რომ ის 2003-2012 წლის კოშმარების განმეორებას არ დაუშვებს!

ნოდარ ლაბარტყავა

ირმა ინაშვილი ოპოზიციურ პარტიებს მოუწოდებს!..

„ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲗᲐ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ“ ლიდერი ირმა ინაშვილი ოპოზიციურ პარტიებს მოუწოდებს, ერთად მიმართონ ცესკოს და განცხადებებით თქვან უარი საპარლამენტო მანდატებზე.

„მოვუწოდებ ყველა ოპოზიციურ პარტიას, რომელიც დღეს ამბობს, რომ არ შედის პარლამენტში, გააკეთოს ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ. ესაა უარის თქმა განცხადებების ფორმირების საშუალებით. მთელი სიითი შემადგენლობის ნაწილმა, უმრავლესობამ უნდა დაწეროს განცხადება უარზე და ერთად შევიტანოთ ეს განცხადებები ცესკოში. მაშინ, ყველანაირი პრობლემა მოიხსნება და 45 დღეში დაინიშნება არჩევნები. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ მათ, რომ ამ გზით წავიდეთ. კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს, კობახიძის საყურადღებოდ, ჩაიხედოს კანონში საჯარო მოსამსახურეების შესახებ. არავის აქვს უფლება, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, ადამიანი, მოქალაქე დანიშნოს ამა თუ იმ სამსახურში“, – განაცხადა ირმა ინაშვილმა.

რას ასწავლის ყარაბაღის გაკვეთილი თბილისს, სოხუმს, ცხინვალს!..

მთიანი ყარაბაღის გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა დაბნეულობა და გულისტკივილი გამოიწვია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკებში, რომლებსაც, გარდა იმისა, რომ განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებთ აზერბაიჯანის ამ სეპარატისტულ რეგიონთან, ახალი საფიქრალიც გაუჩნდათ „სტრატეგიული პარტნიორის“, რუსეთის, სანდოობასთან დაკავშირებით. სოხუმსა და ცხინვალში ბევრს მიაჩნია, რომ „ყარაბაღი ჩააბარეს“.

რა ახალ რისკებსა თუ შესაძლებლობებს აჩენს აზერბაიჯანის მიერ თავისი ტერიტორიის ნაწილის გათავისუფლება რუსეთის (სომხეთის მთავარი მოკავშირის) მდუმარე თანხმობის ფონზე?

თვითაღიარებულთა უძლური სოლიდარობა

საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებს განსაკუთრებული ურთიერთობა აქვთ პოსტსაბჭოთა სივრცეში გაჩენილ სხვა თვითაღიარებულ რესპუბლიკებთან: ცნობენ ერთმანეთის დამოუკიდებლობას, ამყარებენ დიპლომატიურ ურთიერთობებს, ხსნიან საელჩოებს, აფორმებენ ე.წ. სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებებს და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში სამხედრო დახმარებასაც აღუთქვამენ ერთმანეთს, თუმცა, როგორც კონფლიქტოლოგი გიორგი კანაშვილი ამბობს, აზერბაიჯან-სომხეთის ომმა აჩვენა, თუ როგორი ცარიელი და უძლურია არაღიარებული რესპუბლიკების სოლიდარობა.

„მუდმივად იმართებოდა რაღაც შეხვედრები, ფორუმები, ჩემპიონატები, ერთმანეთის აღიარებები, მაგრამ პრაქტიკულ დონეზე ომის დროს ჩვენ ვერ ვნახეთ რეალური ქმედითი ნაბიჯები მთიანი ყარაბაღის თვითაღიარებული რესპუბლიკის დასახმარებლად როგორც საქართველოს სეპარატისტული რეგიონებიდან, ასევე ფართო კონტექსტში. სოხუმისა და ცხინვალის მხარდამჭერი განცხადებები ყარაბაღისადმი რამე მასშტაბურ სოლიდარობის აქტში არ გადაზრდილა, რამაც კიდევ ერთხელ აჩვენა ის, თუ როგორი ხელოვნური კონსტრუქციაა არაღიარებულ „ქვეყანათა“ დამოუკიდებლობა“, — უთხრა **გიორგი კანაშვილმა** რადიო თავისუფლებას.

10 ნოემბერს დასრულებულ ომში სოხუმი ღიად უჭერდა მხარს მთიანი ყარაბაღის თვითაღიარებულ რესპუბლიკასა და სომხეთის მთავრობას, თუმცა, როგორც საქართველოს სეპარატისტული რეგიონის საგარეო უწყების განცხადებიდან ჩანს, სოხუმი შეცდომად მიიჩნევს პარალელების გავლებას აფხაზეთისა და ყარაბაღის კონფლიქტებს შორის.

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის მთავრობა გააღიზიანა საქართველოში აზერბაიჯანის სრულუფლებიანი ელჩის ფაიგ გულიევის განცხადებამ, რომელიც აზერბაიჯანელმა დიპლომატმა გააკეთა 12 ნოემბერს დევნილობაში მყოფი აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელ რუსლან აბაშიძესთან შეხვედრისას: **„დასრულება აგრესიისა და ჩვენი მიწების ოკუპაციისა, რომელიც 30 წელი გრძელდებოდა, ისევე როგორც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, სარგებელს მოუტანს არა მხოლოდ აზერბაიჯანს, არამედ მთელ რეგიონს“.**

აზერბაიჯანელი დიპლომატის პასუხად აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო უწყებამ გაავრცელა განცხადება: **„სავარაუდოდ, საქართველოსა და აფხაზეთის კონფლიქტის ხასიათზე ცხადი წარმოდგენის უქონლობისა და ეიფორიის მდგომარეობაში ყოფნის გამო, ბატონმა ელჩმა თავს უფლება მისცა, გაეკეთებინა ორაზროვანი განცხადება, რომელიც ხელს უწყობს საქართველოში რევანშისტული განწყობების გაღვივებას და ძირს უთხრის ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მონაწილე მხარეების ძალისხმევას. გარდა ამისა, აღშფოთებას იწვევს თვითონ აზერბაიჯანის ელჩის შეხვედრა არალეგიტიმური „აფხაზეთის ავტონომიის მთავრობის“ წარმომადგენელთან, რომელსაც არ აქვს არანაირი კანონიერი საფუძველი ილაპარაკოს აფხაზეთის რესპუბლიკის ხალხის სახელით“.**

აქვთ სოხუმსა და ცხინვალს ნერვიულობის საფუძველი?

რუსეთის დემონსტრაციული უმოქმედობის ფონზე სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის დამარცხება აზერბაიჯანთან ომში მტკივნეულად აღიქვეს სოხუმსა და ცხინვალში.

გიორგი კანაშვილის თქმით, საქართველოს სეპარატისტული რეგიონებისთვის ცხადი გახდა, რომ, თურმე, რაღაცები არ არის მუდმივი, რომ შეიძლება რუსეთმა გადახედოს ურთიერთობებს და, გარკვეული კონფიგურაციის შემთხვევაში, გაფორმდეს ისეთი გარიგება, რომელიც წინააღმდეგობაში იქნება მათ ინტერესებთან.

„კიდევ ერთი გაკვეთილი ისაა, რომ განზე გახედვა, რის გამოც დაისაჯა ფაშინიანი, შეუმჩნეველი არ დარჩება. ამის გამო სეპარატისტული ელიტები კიდევ უფრო მოზომილები იქნებიან რამე სახის დამოუკიდებლობის გამოვლინებაში... ცხინვალი არც აქამდე იჩენდა აქტიურობას ამ მიმართულებით, სოხუმი კი უფრო მეტად ფრთხილი იქნება თუნდაც ისეთი განცხადებების გაკეთებისას, როგორსაც ბჟანია და მისი გუნდი აკეთებდნენ ხელისუფლებაში მოსვლის პირველ დღეებში თბილისთან დიალოგის საჭიროებაზე. ფაშინიანის მაგალითმა აჩვენა მათ, რომ „ინოკომისლიე“ ისჯება“, — უთხრა გიორგი კანაშვილმა რადიო თავისუფლებას.

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის უფროსი, მეცნიერ-თანამშრომელი **კახა გოგოლაშვილი** კი მიიჩნევს, რომ არც აფხაზეთსა და არც სომხეთში რუსეთთან დაკავშირებით დიდი ილუზიები არ ჰქონიათ: **„კარგად იცოდნენ და იციან, რომ რუსეთმა შეიძლება უღალატოს ნებისმიერ მომენტში. უბრალოდ, ვერ გათვალეს ღალატის მომენტი... გარკვეულწილად, ამგვარი გათვლის მცდელობის ნიშანი იყო ფაშინიანის ხელისუფლებაში მოსვლა. მისი არჩევა იმას ნიშნავდა, რომ სომხეთს უნდოდა მეტი გარანტიების მიღება დასავლეთიდან, სხვა დიდი აქტორებისგან, ანუ უნდოდა თავისი საგარეო პოლიტიკის დივერსიფიკაცია. სოხუმსაც ჰქონდა რისკების დივერსიფიცირების მცდელობა. მახსოვს, იყო განცხადებები ევროპასთან, აშშ-თან თანამშრომლობის შესახებ, მაგრამ სოხუმს არ გააჩნია შესაბამისი რესურსი. გამოჩნდა, რომ სომხეთსაც არ ჰქონია თავის პოლიტიკის რეალური დივერსიფიცირებისა და ძალთა ბალანსით თამაშის რესურსი“.**

კახა გოგოლაშვილის თქმით, რუსეთი სოხუმისგან ითხოვს სრულ ლოიალობას. როგორც კი ეცდებიან გადახრას, მაშინვე მოჰყვება მუქარა ან რაღაც პროვოკაცია, რომელშიც შეიძლება საქართველოც ჩაითრიონ.

„სიამოვნებით გვათამაშებს საფრთხობელას როლს. ამის გამო, არ მგონია, რომ დიდად შეიცვლება სოხუმის პოლიტიკა რუსეთის მიმართ. შეიძლება კიდევ უფრო მეტად დაშინდნენ და მეტი ლოიალურობის მტკიცება დაუწყონ რუსეთს. რამდენჯერმე ვნახეთ, როგორც კი რაღაც ნოტები გაჩნდა ქართულ მხარესთან მოლაპარაკების მიმართულებით, მაშინვე დაიძაბა აფხაზეთში შიდაპოლიტიკური ვითარება... გალის მცხოვრებთა მიმართ დამოკიდებულების შეცვლის სურვილსაც კი მოჰყვება ხოლმე ექსტრემისტული ელემენტების გამოსვლები, რაც აშკარად პროვოცირებულია რუსეთის მიერ. ასე რომ, ყარაბაღის ამბავი პოზიტიურ გავლენას ვერ იქონიებს, ნეგატიურს — კი, ბატონო. სოხუმში კიდევ უფრო დარწმუნდებიან, რომ რუსეთი არის მთავარი ძალა, რომ მისი წყენინება არ შეიძლება, რადგან სჯის იმას, ვინც არ უჯერებს. რუსეთმა ეს გააკეთა არა მარტო სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართულებით, არამედ მთელი კავკასიისთვის, მათ შორის, ჩრდილო კავკასიისთვისაც, რომელსაც აჩვენა, რომ არის სრული ბატონ-პატრონი რეგიონში“, — უთხრა კახა გოგოლაშვილმა რადიო თავისუფლებას.

თბილისის პერსპექტივა

რა შესაძლებლობებს აჩენს აზერბაიჯანის მიერ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზაზე გადადგმული წარმატებული ნაბიჯები თბილისისთვის?

რუსი პოლიტოლოგი **დენის სოკოლოვი** მიიჩნევს, რომ ისტორიის მოცემულ ეტაპზე შეუძლებელია ყარაბაღის გამოცდილების ბრმად მორგება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე: **„განსხვავებული პოლიტიკური ვითარებია. რაც უნდა ვთქვათ, აზერბაიჯანისგან განსხვავებით, თბილისი დღეისთვის არ გვევლინება რეგიონის სერიოზული მოთამაშის სამხედრო მოკავშირედ. შესაბამისად, პირდაპირ მოქმედების პოზიციიდან მე არ შევადარებდი ყარაბაღს არც ცხინვალს და არ სოხუმს, თუმცა შესაძლებელია მათი ბედისწერების შედარება რეგიონიდან რუსეთის იმპერიის წასვლის კონტექსტში. გლობალურად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ბედისწერის წინასწარმეტყველება შესაძლებელია. პრობლემები თავს იჩენს იმპერიის დაშლის მორიგი ფაზის დადგომისას“.**

კონფლიქტოლოგი გიორგი კანაშვილი კი დარწმუნებულია, რომ საქართველო ვერ შეძლებს აზერბაიჯანის მაგალითის გადაღებას პოლიტიკური ორიენტაციის რადიკალურად შეცვლის გარეშე.

„თეორიულად ეს შესაძლებელია, თუ საქართველოს ხელისუფლებაში მოვა პრორუსული ძალა, რომელიც უარს იტყვის ნატოზე, ევროკავშირზე და მზად იქნება, რუსეთს მისცეს როგორც შუამავლის როლი, ასევე სამხედრო ბაზების განთავსების ნებართვა. ამ კონტექსტში შეიძლება მოსკოვმა იძალადოს სოხუმსა და ცხინვალზე და კონფედერაციის მაგვარი კონტურები გამოიკვეთოს, მაგრამ, ვიმეორებ, ეს საჭიროებს საქართველოში პოლიტიკური ვითარების მთლიანად შეცვლას. რაღაც მსგავსის მცდელობა ჰქონდა შევარდნაძეს, მაგრამ ეს მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. ეს ასევე ნიშნავს ნდობის ძალიან მაღალ ხარისხს თბილისსა და მოსკოვს შორის. ძალიან მეეჭვება, რომ ამგვარი კონფიგურაცია თუნდაც თეორიულად დაჯდეს“, — ამბობს გიორგი კანაშვილი. — **„ვფიქრობ, საქართველოს პოლიტიკურ ელიტასა და საზოგადოებაშიც არის სრული კონსენსუსი იმაზე, რომ საქართველოს ურჩევნია ჰქონდეს სხეულის გარკვეული ნაწილები ამპუტირებული დროებით ან დიდი ხნით, მაგრამ შეეძლოს განავითაროს დანარჩენი ნაწილი, ჰქონდეს რეალური სუვერენიტეტი იმ ტერიტორიაზე, რომელსაც იგი აკონტროლებს, და ძალიან გრძელვადიან პერსპექტივაში იფიქროს ამ ხალხებისა და ტერიტორიების რაღაც ფორმით დაბრუნებაზე“.**

მაინც რა არსებითი განსხვავებებია ყარაბაღის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებს შორის და როგორია მათ გარშემო შექმნილი კონფიგურაციები? — ამ კითხვის პასუხად კახა გოგოლაშვილი ამბობს, რომ მთავარი ფაქტორი კონფლიქტებში რუსეთის განსხვავებული როლი და კონფლიქტში ჩართული მხარეების რუსეთთან შეცვლილი დამოკიდებულებაა.

იხ. 8 გვ.

ადამიანი იმდენად საშინელი შეთქმულების პირისპირ დგას, რომ უარს ამბობს, დაიჯეროს მისი არსებობა

რა არის **PCR-პროცესი, ანუ პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია** — ეს არის რნკ-ს ამ ფრაგმენტების ტრილიონებამდე ხელოვნურად გამრავლების, **გაბევრების პროცესი,** რისი აღმოჩენაც უკვე შესაძლებელი ხდება. მაგრამ მისი გამომგონებელი მეცნიერის **მულისის** PCR-პროცესი მუშაობს, ანუ ვარგისია მხოლოდ დნმ-სთან! ამიტომ, ვინაიდან კორონავირუსი რნმ-ის ნატეხია, ჯერ რნმ უნდა ვაქციოთ დნმ-ად, რაც ზრდის პროცესის მცდარობას! პრობლემა იმაშია, რომ რნმ/დნმ-ის ნატეხები, რომლებთანაც PCR-პროცესი მუშაობს, ვირუსები არ არიან! ეს უბრალოდ, რნმ-ის ფრაგმენტებია, რომლებსაც დამატებითი ცილების გარეშე, რასაც „ვირუსის გარსი“ ეწოდება, ცოცხალ უჯრედში შეღწევა, „ინფიცირება“ არ შეუძლიათ. **PCR-ტესტს ვირუსის აღმოჩენა არ შეუძლია!** მას მხოლოდ ვირუსის მოქმედების პროდუქტების აღმოჩენა შეუძლია. ესეც დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად განსაზღვრა ფირმამ ვირუსის გენეტიკური კოდი და ნუკლეოტიდების (ორგანული შენაერთები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ენერგეტიკულ და ინფორმაციულ უჯრედშიდა პროცესებში) თანმიმდევრობა მასში **(ამიტომაც არის ძალზე მნიშვნელოვანი დადებითი და უარყოფითი ტესტების შედარებითი მონაცემები მომწოდებელი ფირმებისდა(!) მიხედვით. არც ეს ინფორმაცია არ საჯაროვდება!).** დავუშვათ, რომ ფირმამ სწორად განსაზღვრა ნუკლეოტიდების თანმიმდევრობა, შემდეგ — PCR-პროცესი PCR-ციკლებით დნმ-ის ამ ნატეხს ტრილიონებამდე(!) ამრავლებს. აქ, საერთოდ არ არის არავითარი „ვირუსის“ ხსენება! სწორედ ამიტომ PCR-ის შემქმნელი **მულისი** ამას **„პროცესს“ უწოდებს და არა — „ტესტს“.** იგი წინააღმდეგი იყო, რნმ-ის ფრაგმენტების გამრავლების ბიოქიმიური პროცესი „ტესტად“ ექციათ, და განაცხადა: **„რაოდენობრივი PCR - ეს ოქსიმორონია“ (ოქსიმორონი** — გონებამახვილური უგუნურება)! საქმე იმაშია, რომ PCR-პროცესს რაოდენობრივი განსაზღვრა არ შეუძლია, **რაოდენობის მიუთითებლად კი უაზრობაა იმის თქმა, რომ ადამიანი ინფიცირებულია,** მით უფრო, თუ მას სიმპტომები არა აქვს! აი, სად იმალება ტესტების სიყალბე, რის შესახებაც „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ სექტემბრის დასაწყისში ამცნო მსოფლიოს. თუ ნიმუშებს, ანუ დნმ-ად ქცეულ რნმ-ის ფრაგმენტებს ამპლიფიკაციის ციკლებით ტრილიონებამდე გავამრავლებთ, ადრე თუ გვიან ტესტის შედეგი დადებითი იქნება. მეტიც, ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრი (CDC) ლაბორატორიებისგან პირდაპირ მოითხოვს, ავალდებულებს, რომ მათ ნიმუშების ამპლიფიკაციის არანაკლებ 40 ციკლი ჩაატარონ **(ამპლიფიკაცია** მოლეკულურ ბიოლოგიაში — ეს არის ქრომოსომული **დნმ**-ის უბნების დამატებითი ასლების წარმოქმნის პროცესი, რომელიც სპეციალური ხელსაწყოთი, **ამპლიფიკატორით** ხორციელდება, რომლის მეშვეობითაც პერიოდულად ათბობენ და აცივებენ სინჯარებს არანაკლებ **0.1 C გრადუსის სიზუსტით**. გიხსენეთ ზემოთ ნათქვამი, როდესაც ტესტების ოდნავ ზედმეტად შეთბობაზე ვლაპარაკობდით!)!

მწარედ გაიღიმო თუ გულიანად შეუკურთხო ყველაფერი ამის მომგონს (კორონავირუსის, პანდემიის, კარანტინის, პირბადეების, „დარჩი სახლშის“ და სხვა) და განმხორციელებელს ჩვენთანაც და გარეთაც, თუ მხოლოდ ტუჩები დაიკვნიტო უძლურებისგან, უკვე აღარ იცი კაცმა! კიდევ ვიმეორებ: ყველაზე მეტად ის მაწუხებს, რომ **ექიმებით გადავსებულ საქართველოში მხოლოდ ერთეული ადამიანები, ერთეული ექიმი და ბიოლოგი იღებს ხმას (დეპოპულაციაზე, პანდემიაზე, ვაქცინაციაზე, ჩიპიზაციაზე), და არა — მათი სხვადასხვა ასოციაციებში და კავშირებში გაერთიანებული ორგანიზებული საზოგადოება,** რომლებიც გამსვლელ (უხშირესად, ზღვისპირეთში) სამეცნიერო კონფერენციებს აწყობენ ყოველწლიურად. ყველანი მორჩილად ვართ მიჩერებულნი სამ ადამიანს, რომლებიც უსიტყვოდ ასრულებენ გარედან მიღებულ ინსტრუქციებს! ყოველ შემთხვევაში, მათი შებრუნებული სიტყვა, ანუ კრიტიკული მიდგომა მთელ მსოფლიოში გამეფებული განუკითხაობის მიმართ გამოთქმული, განსხვავებით უცხოელი ექიმებისგან და სამედიცინო ორგანიზაციებისგან, ჯერ არავის სმენია!

4. დაავადების თავიდან ასაცილებელი და გავრცელების შემაკავებელი ზომები

„იყო შიშის მონა — ყველაზე უარესი მონობაა“!

ჯოშ ბილინგსი, XIX საუკუნის მეორე ნახევრის ამერიკელი მწერალი.

თავდაპირველად, კორონავირუსისგან თავის დასაცავ ყველაზე გავრცელებულ და მნიშვნელოვნად მიჩნეულ საშუალებაზე — **პირბადეებზე** შევჩერდები. როგორც ვიცით, მათი ტარება თითქმის ყველა სახელმწიფოში და ყველასთვის (დიდისთვის თუ პატარასთვის, ახალგაზრდისთვის თუ მოხუცისთვის) სავალდებულოა (ზოგიერთ ქვეყანაში, — ღია სივრცეშიც კი!) და დამრღვევი სოლიდური თანხითაც ჯარიმდება ხშირად (ჩვენთან — არა, ჯერჯერობით. სავარაუდოდ, ყველაფერი წინ გვაქვს!). და, ასე გრძელდება მიუხედავად ამერიკის **CDC** სულ ახალი, ოქტომბრის თვის მონაცემებისა, რომლებიც აშკარას ხდიან პირბადეების გამოყენების აბსურდულობას: **„კოვიდ-19-ის ახალი შემთხვევების უმეტესობა პირბადეების მატარებლებზე მოდის“! და, არა — პირიქით!**

ამ ღონისძიების გამართლებას მედიკოს-ჩინოვნიკები ასეთნაირი ლოგიკით ცდილობენ: ეს კეთდება იმისთვის, რომ თქვენ სხვა არ დაასნებოვნოთ (თითქოს, პირბადე აეროზოლის სახით გამოფრქვეულ ვირუსებს აკავებდეს!), სხვას არ გადასდოთ კორონავირუსი. განა, თქვენ სხვისი დაინფიცირება გსურთ?! აი, ასეთი მორალური „დასაბუთება“, „ნამუსზე შეგდების“ ხერხი მოიფიქრეს. რა თქმა უნდა, არავის არ გვინდა ასეთი ცოდვა დავიდოთ კისერზე, მაგრამ ავად თუ არ ვართ და თავს ჯანმრთელად ვგრძნობთ, მაინც უნდა ვატაროთ? ამაზე, კიდევ უფრო „გონებამახვილური“ პასუხი მოიფიქრეს: თქვენი თვითგრძნობა არაფერს არ ნიშნავს, რადგანაც სავსებით შესაძლებელია ავად იყოთ, საკმაოდ სერიოზულადაც და, უბრალოდ, დაავადება უსიმპტომოდ მიმდინარეობდეს! აქედან გამომდინარე, **თითოეული თქვენგანი საშიში ხართ საზოგადოებისთვის — დანარჩენი მოქალაქეებისთვის და, პირიქით, — ყველა(!) სხვა ადამიანი საშიშია პირადად თქვენთვის!** წარმოგიდგენიათ, ეს როგორი პოსტულატია?! შინაური იქნება ეს თუ გარეული, ოჯახის წევრი, მეგობარი თუ ქუჩაში შემხვედრი, ყველას ეჭვის თვალით უნდა ვუყუროთ, ყველაში „უსიმპტომო ავადმყოფი“, ჩვენი პოტენციური დამაინფიცირებელი უნდა დავინახოთ და, ბუნებრივია, მოვერიდოთ, გვერდი ავუქციოთ, არ მივუახლოვდეთ. ასევე გაიფიქრებს ჩვენი დამნახავიც, ცხადია! ძალზე გამაოცა გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროდან გაჟონილმა საიდუმლო დოკუმენტმა, რომელშიც არის ბავშვებისადმი მოწოდებაც, რათა მათ ეგრძნოთ თავიანთი პასუხისმგებლობა — „პასუხისმგებლობა მშობლების, ბებია-ბაბუების მტანჯველი სიკვდილისთვის, თუკი ისინი არ დაიცავენ ანტიკორონავირუსულ წესებს — მუდმივად იბანონ ხელი და **არ მიუახლოვდნენ მათ“!**

ახლა ვიკითხოთ: გვიცავს კი ჩვეულებრივი პირბადე დაინფიცირებისგან ან ვირუსების გავრცელებისგან, თუნდაც იგი ავადმყოფსაც ეკეთოს და ჯანმრთელსაც? არის ეს საფუძვლიანად შესწავლილი? მოახდინა პირბადეების სავალდებულო ტარებამ დაავადებიანობის შემცირება რომელიმე სახელმწიფოში ან ქალაქში იმათთან შედარებით, სადაც ეს წესი უგულებელყვეს? თქვენ წარმოიდგინეთ, პირბადეების ტარებამ ზოგან გამოხატული დადებითი შედეგი გამოიღო (მაგალითად, ტაივანზე, გერმანიის ქალაქ იენში და სხვაგან), უმეტესგან კი — არა.

ახლა ვიკითხოთ: **გვიცავს კი ჩვეულებრივი პირბადე დაინფიცირებისგან ან ვირუსების გავრცელებისგან,** თუნდაც იგი ავადმყოფსაც ეკეთოს და ჯანმრთელსაც? არის ეს საფუძვლიანად შესწავლილი? მოახდინა პირბადეების სავალდებულო ტარებამ დაავადებიანობის შემცირება რომელიმე სახელმწიფოში ან ქალაქში იმათთან შედარებით, სადაც ეს წესი უგულებელყვეს? თქვენ წარმოიდგინეთ, პირბადეების ტარებამ ზოგან გამოხატული დადებითი შედეგი გამოიღო (მაგალითად, ტაივანზე, გერმანიის ქალაქ იენში და სხვაგან), უმეტესგან კი — არა. ამიტომაც, ნიდერლანდების, შვედეთის, დანიის, ნორვეგიის, ფინეთის და ისლანდიის მთავრობებმა განაცხადეს: **„ჩვენ ვერ ვხედავთ ვერავითარ აზრს პირბადეების ტარებაში“!** ამერიკელი თარაპევტების და ქირურგების ასოციაციის დასკვნით კი: **„არსებული კვლევებით ჯანმრთელი ადამიანების მიერ პირბადეების გამოყენება არ არის გამართლებული, რისკის შემცველია, რამეთუ იგი ცრუ (!) უსაფრთხოების შეგრძნებას ბადებს“!** იგივეა ნათქვამი თავად **ჯანმოს** 2020 წლის 6 აპრილის (ექვსი თვის წინანდელ!) დოკუმენტშიც: **„არ არსებობს პირდაპირი მტკიცებულება იმისა, რომ პირბადეები ვირუსული ინფიცირებისგან გვიცავენ“!** აშშ-ის მთავარმა ინფექციონისტმა **ფაუჩიმაც** აღიარა, რომ **პირბადეები არ გვიცავენ,** რომ **ქვეყნის დახურვას გამოუსწორებელი ზიანი შეუძლია მიაყენოს ეკონომიკას!**

თავად პირბადეების მწარმოებელი კომპანიებიც თავიანთ პროდუქციაზე ასე აწერენ: **„ეს პირბადე რესპირატორი არ არის, იგი არ იცავს კორონა და სხვა ვირუსებისგან,** არც მავნე ნივთიერებებისგან“! აქვე, ისიც აღსანიშნავია, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, არც „უსიმპტომო ავადმყოფისგან“ ვირუსის გავრცელება დადასტურებულა სადმე! მოსალოდნელი იყო იმიტომ, რომ ტერმინი **„უსიმპტომო ავადმყოფი“** კორონავირუსის შემქმნელების **მოგონილია ხალხის დასაშინებლად (ფულის საკეთებლადაც, რა თქმა უნდა!) და პირბადეების სავალდებულო ტარების დასაკანონებლად მთელი მსოფლიოს მასშტაბით!** პანდემიამდე ეს ტერმინი მედიცინაში არც იყო, რადგანაც იგი **ოქსიმორონია,** „უსიმპტომო ავადმყოფი“ არ არსებობს, ეს იგივეა, რაც „ჯანმრთელი ავადმყოფი“! ამასთან დაკავშირებით ერთი საბჭოთა კინოკომედია მახსენდება („Кавказская пленница“), ერთ-ერთი გმირის (მსახიობი გიორგი ვიცინი) მიერ სასამართლოზე წამოძახილი: „Советский больной – самый здоровый больной“!).

მიუხედავად ზემოთ მოყვანილი ფაქტებისა, ზოგიერთი სახელმწიფოს ხელისუფლება ისეთ უკიდურესობაში ვარდება (მაგალითად, — საფრანგეთში, ესპანეთში, აშშ-ში), რომ პირბადეების ტარებას ავალდებულებენ როგორც ყველა შენობაში, ანუ დახურულ სივრცეში, ისე — ქუჩაში, ბაღში ანუ ღია სივრცეში; როგორც

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №155-163

ღრმა მოხუცებს, ისე – 10 წლის, ზოგან, 2 (!) წლის ზემოთ ბავშვებსაც; როგორც ინტენსიური ფიზიკური ვარჯიშით დაკავებულებს, ისე – საათობით ავტობუსის ან მანქანის (ტაქსი) საჭესთან მჯდომ მძღოლებსაც (ეს ჩვენთანაცაა)! არ შეიძლება ჩვენმა მედიკოს-ჩინოვნიკებმა არ იცოდნენ პირბადის ტარების, განსაკუთრებით კი, ხანგრძლივი(!) ტარების უარყოფითი, საშიში(!) მხარეები (იხ. ქვემოთ). იმ ფაქტების შესახებაც უნდა მოეხსენებოდეთ, როცა ამერიკაში, ჩინეთში და სხვაგან პირბადიანი მძღოლებიც დაიღუპნენ და – ფიზიკურად მოვარჯიშე მოსწავლეებიც. პირბადეების გამო სექტემბრის თვეში სკოლის მოსწავლე სამი გოგონა (სულ პატარა, 6 წლის, სკოლის ავტობუსში) დაიღუპა გერმანიაში. რამდენადაც ვიცი, ჩვენი ავტობუსების რვა მძღოლიც შეუძლოდ შეიქნა ივლისის თვეში, როცა ცხვირ-პირდაფარულებს საათობით მოუხდათ პაპანაქება სიცხეში მუშაობა. როდესაც პირბადე ცხვირსაც ფარავს და პირსაც და, თან სახესაც მჭიდროდ ეკვრის, იგი ყველა, პირბადის მატარებელი ინდივიდისთვის საშიშია (ცხადია, უპირველესად – ავადმყოფებისთვის, მოხუცებისთვის და პატარა ბავშვებისთვის), მაგრამ მას კატასტროფული შედეგი შეიძლება მოჰყვეს, თუკი მანქანის ან, მით უფრო, ავტობუსის მძღოლი გახდა ცუდად! მე შიშით ვუყურებ ტაქსის ან ავტობუსის მძღოლს, ვისაც ცხვირიც დაფარული აქვს. საბედნიეროდ, უმეტესობამ მოტვინა, რომ პირბადით გამოწვეული სუნთქვის გაძნელება მას კარგს არაფერს მოუტანდა და თავად მოიფიქრა ცხვირის განთავისუფლება, პირბადის პირზე ჩამოწევა. ზოგ ავტობუსში, მაღაზიაში თუ სხვაგან სპეციალურად გამოყოფილი ხალხი (ტემპერატურის მზომები და სადეზინფექციო ხსნარებით ხელის დამმუშავებელნი) შენიშვნებს აძლევენ მათ, ვისაც ცხვირზეც არ უკეთია პირბადე. და, ამ დროს არც მძღოლებს და არც მაღაზიების თანამშრომლებს ყოველ 2-3 საათში არავინ ამარაგებს ახალ-ახალი პირბადეებით. არადა, სწორედ ასეა რეკომენდებული ჯანმოს მიერ, რადგანაც სუნთქვისგან დანამულ და თბილი პირბადის ზედაპირზე უამრავი ვირუსი და ბაქტერია გროვდება და, ერთი პირბადის შეუცვლელად, საათობით ტარებამ დაცვის ნაცვლად უკუშედეგი შეიძლება გამოიღოს (ზაფხულის სიცხეში მომუშავეთათვის კი – ყოველ 20-30 წუთშია მათი ცვლა საჭირო, ანუ დაახლოებით 16 (!) პირბადე დღეში), თან, არც ნახმარს აგროვებს არავინ სპეციალურ ურნებში (როგორც ბიოლოგიურად საშიშ მასალას!), და, ცხადია, ამ არარსებულ ურნებსაც არავინ ანადგურებს!

საფუძვლიანადაა შესწავლილი პირბადის ხანგრძლივად ტარების **სხვა უარყოფითი მხარეებიც** (პირბადესთან, ასე ვთქვათ, მიერთებული ჟანგბადის, ნახშირორჟანგის და ტოქსიკურობის განმსაზღვრელი აპარატურით):

1). ჩასუნთქულ ჰაერში ქვეითდება **ჟანგბადის შემცველობა** – ჟანგბადის ნორმალური დონე გარეთ, სუფთა ჰაერზე თუ 20-21%-ია, შენობაში – 19.5%, **პირბადის ქვეშ იგი მალევე ქვეითდება 17.5%-მდე(!)**, რაც ჰიპოქსიას, ანუ ჟანგბადის უკმარისობას იწვევს. ამიტომაც მოითხოვენ შრომის დაცვის სამსახურები ამერიკაშიც და რუსეთშიც, რომ სამუშაო ადგილზე ჟანგბადის დონე 19.5 % იყოს;

2). ჟანგბადის კლებასთან ერთად, ჩასუნთქულ ჰაერში მატულობს **ნახშირორჟანგის (CO2)** შემცველობა. ეს ხდება იმიტომ, რომ ადამიანს უხდება პირბადის ქვეშ არსებული ამოსუნთქული ჰაერის ნაწილის უკანვე ჩასუნთქვა. CO2-ის კონცენტრაცია ნორმაში, ანუ სუფთა ჰაერზე, ქუჩაში 250-350 ppm-ის ტოლია (იზომება მემილიონედ ნაწილებში – parts per million), კარგი ვენტილაციის მქონე საცხოვრებელ სახლებში 350-1 000 ppm-ს შორისაა. 1 400 ppm-ს ზემოთ იწყება უმიზეზო მოდუნება, ჩივილები ჰაერის უკმარისობაზე და ძნელდება შესასრულებელ სამუშაოზე კონცენტრირება, 3 000 ppm-ს ზემოთ – აღენიშნებათ თავის ტკივილი, მძინარობა, პულსის გახშირება და გულისრევის შეგრძნება, 5 000 ppm ზღვრულ კონცენტრაციად ითვლება 8 საათის განმავლობაში, 15 000 ppm კი – სიცოცხლისთვის საშიში კონცენტრაციაა. სახეზე მჭიდროდ აკრული **პირბადის ქვეშ, უკვე მეათე ჩასუნთქვის შემდეგ, ნახშირორჟანგის კონცენტრაცია 10 000 ppm-მდე ადის!** მრავალრიცხოვანი კვლევებით დადასტურებულია, რომ ჰაერის უკმარისობის, თავბრუხვევის, დაღლილობის, უყურადღებობის და სხვა სიმპტომების გამომწვევი მიზეზი არის არა ჟანგბადის უკმარისობა, ამას ეგუება ჯანმრთელი კაცის ორგანიზმი აკლიმატიზაციის გზით (მაგალითად, მთაში ასვლისას), არამედ – ნახშირორჟანგის სიჭარბე, რასთანაც შეგუება არავის არ ძალუძს, მით უფრო, ასაკოვან ადამიანებს და ბავშვებს, – მათ უხშირდებათ რესპირატორული ინფექციები და ასთმის შეტევები; საფრანგეთში კი დაადგინეს, რომ 13 წამში სუნთქვის დაწყებიდან აპარატი ფორმალდეჰიდის და ტოლუენის (იგივე ტოლუოლის) დაგროვების მანიშნებელ სიგნალს იძლევა.

3). **მატულობს სისხლის წნევა და ითრგუნება იმუნური სისტემა,** რაც განსაკუთრებით საფრთხის შემცველია რესპირატორული ან გულის დაავადებების მქონე ადამიანებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ პირბადეების ტარების მომხრეებიდან არავინ, არც მედიკოსები, არც ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები და არც პოლიტიკოსები ზემოთ ჩამოთვლილ პირბადის უარყოფით მხარეებზე ხმას არ იღებენ, სიტყვასაც კი არ ძრავენ!

პირბადეების ირგვლივ ეს ინფორმაცია მოსახლეობის საკმაო ნაწილისთვის ცნობილია და, ამიტომაც იმართება მასობრივი საპროტესტო მანიფესტაციები ევროპის სახელმწიფოებში, რომლებსაც წამყვანი მედიასაშუალებები თითქმის არ აშუქებენ. სამაგიეროდ, პირბადის გარეშე სახლიდან გამოსვლისთვის შემოიღეს ჯარიმები – 50 ევროდან (გერმანიაში) 1 000 ევრომდე (იტალიაში).

ახლა, სანამ პირბადის დადებით მხარეზეც ვიტყოდეთ რამეს (ბუნებაში ხომ ყველაფერს ორი მხარე აქვს), როგორც ვირუსისგან **„თავდაცვის საუკეთესო საშუალებაზე“** მანამდე, ჯერ კორონავირუსის გავრცელების გზებზე უნდა ვთქვა ოდნავ უფრო დაწვრილებით და, კარგად გამოჩნდება, თუ როგორ გვიცავს ან არ გვიცავს პირბადე.

დაავადების გავრცელება (ერთმანეთისთვის გადაცემა) **აირ-წვეთოვანი** გზით ხდება, ანუ იმ უმცირესი შხეფებით, რაც ხველების და ცემინების, ნაკლებად – ლაპარაკის დროს გამოიყოფა. შედარებით დიდი წვეთები მომენტალურად ილექება, ხოლო აეროზოლის სახით გამოყოფილი, ანუ უმცირესი წვეთები, მცირე მასის გამო, რამდენიმე წუთიდან ნახევარ საათამდე ძლებენ ჰაერში. აქტიური ვირუსები 1-200 მიკრომეტრის (მილიმეტრის მეათასედი ნაწილი) ზომის წვეთებშია მოქცეული, **წყლის მოლეკულების გარეშე ვირუსი ჰაერში ვერ ძლებს!** მართალია, იგი შეიძლება აღმოჩენილ იქნას ნებისმიერ ზედაპირზე, მაგრამ უკვე დეაქტივირებულ ანუ უსიცოცხლო მდგომარეობაში, რომელსაც **გამრავლება აღარ შეუძლია და, ამიტომ, საშიშროებასაც აღარ წარმოადგენს** (ეს ფაქტი ძალიან მნიშვნელოვანია და სხვა რამეზე მსჯელობის დროს გამოგვადგება!). როგორც პირბადეების ტარების მომხრე ექიმი-ჩინოვნიკები და ხელისუფლების წარმომადგენლები გვარწმუნებენ, დაავადებულის მიერ გამოყოფილი აეროზოლის ძირითადი ნაწილი საკმაოდ დიდი, 5 მიკრომეტრის ზომისაა და, ვინაიდან ერთჯერადი სამფენოვანი პირბადე 3 მიკრომეტრზე დიდ წვეთებს არ ატარებს, ამიტომ, თურმე, აეროზოლის 95%-ის(!) შეკავებაც ხერხდება, რაც ცოტა ნამდვილად არ არის და, მართლაც ეფექტურს ხდის მას. ობიექტურობისთვის აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ არსებობს ექსპერტების სრულიად საპირისპირო დასკვნაც, – ერთჯერადი პირბადის ეფექტურობა რამდენიმე პროცენტს არ აღემატება. დროებით დავეთანხმოთ ჩვენთვის – ყველასთვის სასურველ დასკვნას პირბადის მაღალი (95%-იანი) ეფექტურობის შესახებ.

იაკობ ლეჟავა,
(ტელ: 593-55-04-00)

(გაგრძელება იქნება)

სავალალო ციფრები

მსოფლიოში კორონავირუსის შედეგად გარდაცვლილთა რიცხვმა მილიონ 360 ათასს გადააჭარბა. გლობალური პანდემიის დრო ახალი ტიპის კორონავირუსით 57 მილიონი ადამიანი დაინფიცირდა, რომელთაგან თითქმის 40 მილიონი გამოჯანმრთელდა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ცნობით, პანდემიის ეპიცენტრი ახლა ევროპაა, სადაც ვირუსი ახალი შემთხვევებისა და გარდაცვლილთა რიცხვი მატულობს. საფრანგეთში ბოლო 24 საათში ვირუსით 429 ადამიანი დაიღუპა, იტალიაში ამავე პერიოდში კორონავირუსს 653 პაციენტი შეეწირა. ახალი შემთხვევების რეკორდული ზრდაა პოლონეთში, სადაც ბოლო დღე-ღამეში ვირუსით 23 ათასზე მეტი ადამიანი დაინფიცირდა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში ევროპის მოსახლეობას აფრთხილებენ, რომ მომდევნო ექვსი თვე რთული იქნება და მოუწოდებენ ატარონ პირბადე. რთული ვითარებაა აშშ-იც, სადაც ვირუსის შედეგად გარდაცვლილთა რიცხვი 250 ათასს ასცდა. სპეციალისტებმა მოუწოდეს მოქალაქეებს, მადლიერების დღეს მოგზაურობისგან თავი შეიკავონ, რათა ვირუსი კიდევ უფრო არ გავრცელდეს. კალიფორნიის შტატში კი ამ უქმეებიდან ღამის კომენდანტის საათი ამოქმედდება. რაც შეეხება ჩვენს სამეზობლოს, აზერბაიჯანში ბოლო დღე-ღამეში ვირუსს 23 ადამიანი ემსხვერპლა. დაინფიცირდა 2500-ზე მეტი. თურქეთში 24 საათში ვირუსი კიდევ 4215 ადამიანს დაუდასტურდა. გარდაიცვალა 123 პაციენტი. რთული ვითარება რჩება რუსეთში, სადაც ბოლო მონაცემებით, ინფიცირებულთა რიცხვმა ორ მილიონს გადააჭარბა.

ყოველ 17 წამში კოვიდ 19-ით ერთი ადამიანი იღუპება

ევროპაში კოვიდ 19 ყოველდღიურად უპრეცედენტო მასშტაბებით ვრცელდება. სტატისტიკური ანალიზის თანახმად დადგინდა, რომ ყოველ 17 წამში ევროპის კონტინენტზე ერთი ადამიანი იღუპება კოვიდ 19-ისგან. გასულ კვირას გარდაცვალების 29 000 შემთხვევა დადასტურდა, რაც ფატალურ შემთხვევათა 18 %-იან ზრდას წარმოადგენს.

მსოფლიოში სულ 1 366 000 ადამიანია დაღუპული კორონავირუსისგან, რომელთაგან 340 000-მდე შემთხვევა ევროპაში ფიქსირდება. აღნიშნულ კონტინენტზე მოსახლეობათა უმრავლესობას ანალოგიურ პირობებში უწევს ცხოვრება, როგორც ეს 2020 წლის მარტსა და აპრილში ხდებოდა.

გავრცელებული ინფორმაციით, უმძიმესი მდგომარეობაა საფრანგეთში, სადაც ინტენსიური თერაპიის პალატათა 95 % უკვე გადატვირთულია და ექიმები დამატებით კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ პაციენტებს ვერ იღებენ.

სერბეთის პატრიარქი კორონავირუსით გარდაიცვალა

სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ხელმძღვანელი, პატრიარქი ირინეოსი კორონავირუსით გარდაიცვალა, – ამის შესახებ ინფორმაციას ბრიტანული მედია ქვეყნის პრეზიდენტ ალექსანდრ ვუჩიჩზე დაყრდნობით ავრცელებს.

„პატივი მქონდა, რომ შენთან ურთიერთობა მქონოდა. შენნაირი ადამიანები არასოდეს მიდიან“ – განაცხადა ვუჩიჩმა თავის ინსტაგრამ გვერდზე. 90 წლის სასულიერო პირს კორონავირუსი 4 ნოემბერს დაუდასტურდა, მას ბელგრადის სამხედრო საავადმყოფოში მკურნალობდნენ, თუმცა ორგანიზმმა ვერ გაუძლო ინფექციის მიმდინარეობას და გარდაიცვალა.

პანდემიამ ეპისკოპოსი იმსხვერპლა



წმინდა სინოდის წევრი და ბორჯომისა და ბაკურიანის ეპისკოპოსი ლაზარე (სამადბეგიშვილი) გარდაიცვალა. საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის, დეკანოზ ანდრია ჯაღმაიძის თქმით, ეპისკოპოსს სხვა თანმხლებ დაავადებასთან ერთად კორონავირუსი ჰქონდა.

გამოჯანმრთელებული ადამიანი იმუნიტეტს ხანგრძლივად ინარჩუნებს

ამერიკაში ჩატარდა ახალი კვლევა, რომელშიც საუბარია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს ადამიანის ორგანიზმი იმუნურობას კორონავირუსის წინააღმდეგ.

ახალი მონაცემები აჩვენებს, რომ ინფიცირებიდან 8 თვის შემდეგ იმ ადამიანებს, რომელთაც კორონავირუსი გადაიტანეს, უნარჩუნდებათ იმუნური უჯრედები, რომლებიც საკმარისია იმისათვის, რათა კოვიდ 19-ით ხელახლა დავირუსებას თავი აარიდონ. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ აღნიშნული უჯრედები ორგანიზმში შესაძლოა, დიდი ხნის განმავლობაშიც დარჩეს. მკვლევართა განცხადებით, ეს არის კორონავირუსის იმუნური მეხსიერების ყველაზე ყოვლისმომცველი და ხანგრძლივი კვლევა.

ჯანმო რემდესივირის გამოყენების რეკომენდაციას არ იძლევა

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია **Covid**-19-ის სამკურნალოდ რემდესივირის გამოყენების წინააღმდეგია. დაავადებული პაციენტების მკურნალობის დროს, დაავადების სირთულის მიუხედავად, რემდესივირის გამოყენება არ უნდა მოხდეს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის განცხადებით, არ არსებობს მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ეს წამალი ხელს უწყობს კორონავირუსთან ეფექტურ ბრძოლას.

თავის მხრივ ჯანმო-ს მიერ გამოქვეყნებული ეს რეკომენდაცია ემყარება სამედიცინო ექსპერტთა საერთაშორისო ჯგუფის დასკვნებს, რომლებმაც გააანალიზეს რემდესივირის ოთხი კვლევის შედეგები, რომელშიც 7 ათასზე მეტმა პაციენტმა მიიღო მონაწილეობა. შედეგებმა აჩვენა, რომ რემდისივირს არ აქვს „მნიშვნელოვანი გავლენა“ კორონავირუსით სიკვდილიანობის შემცირებაზე. ის არ ამცირებს მექანიკური ვენტილაციის საჭიროებას და არ აუმჯობესებს სხვა მნიშვნელოვან სამედიცინო კრიტერიუმებს.

ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡ დაუმორჩილებლობა დამღუპველია აშშ-ის დემოკრატიისთვის. პრეზიდენტის მიერ დამარცხების არაღიარება და არჩევნების შედეგების გაპროტესტება იწვევს აშშ-ის იმიჯის შელახვას მთელ მსოფლიოში. რესპუბლიკელებმა უნდა შეიგნონ, რომ არჩევნებში დამარცხდნენ, დაარწმუნონ პრეზიდენტი და ათქმევინონ მას აღიარების ნანატრი სიტყვა...



ᲘᲛ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐᲡ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲕᲘᲛᲙᲘᲗ!

ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ ამგვარი მოწოდებები გვესმის საპრეზიდენტო არჩევნებში „გამარჯვებული“ დემოკრატიული პარტიის კანდიდატის ჯო ბაიდენის ბანაკიდან და არა მარტო. განსაკუთრებით აქტიურობს ყოფილი პრეზიდენტი ბარაკ ობამა, რომელიც ისე, როგორც ყოველთვის, მოქმედი პრეზიდენტის დონალდ ტრამპისადმი მძაფრი კრიტიკით გამოდის. წინასაარჩევნო მარათონში მან ერთობ აქტიური მხარდაჭერა გამოავლინა მისი ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ბაიდენის მიმართ. ობამა ისე თავდადებით გამოდიოდა ბაიდენის მხარდამჭერ დემოკრატების თავყრილობებზე, თითქოს ის ყოფილიყო პრეზიდენტობის კანდიდატი და არა ბაიდენი.

ოთხი წლის განმავლობაში პრეზიდენტ ტრამპის მხრიდან წინამორბედი ობამას სისტემატურმა კრიტიკამ, ხშირ შემთხვევაში ლანძღვაში გადასულმა, „სანთელ-საკმეველი“ არ დაკარგა და მეოთხე წლისთავზე, ცხელ საარჩევნო მარათონში იჩინა თავი. ტრამპზე დაბოღმილმა ობამამ გადალახა ყოველგვარი პოლიტკორექტულობის წითელი ხაზები და თავდავიწყებით ეკვეთა მის მლანძღველ პრეზიდენტს — ვითარცა საძულველ საუკუნოვან მტერს. ესეც არასასიამოვნო სიახლეა ამერიკის პოლიტცხოვრებაში.

პრეზიდენტობისთვის მებრძოლთა ბილწ შერკინებას მხარი აუბა „ვირებისა“ და „სპილოების“ ამომრჩეველმაც, თან ისეთი მასშტაბით, ქვეყნის ისტორიას რომ არ ახსოვს. პირველი დემოკრატთა სიმბოლოა, მეორე — რესპუბლიკელები. პირველს მხარი 74 მილიონმა დაუჭირა, მეორეს — 71-მა.

პირველი მეტი პოპულარობით სარგებლობს ლგბტ-ს წევრებში და მხარდამჭერებში, ტრანსვესტიტებში, ერთნაირსქესიანთა ოჯახების შექმნის მსურველებში, ფერადკანიანებში, ლესბოსელებში, მცირეწლოვანთა მიერ სქესის შეცვლის პროპაგანდისტებში, გეი-პარადების ჩატარების მხარდამჭერებში — კონსერვატორთა აზრით, ყველა გადაქანებულში, კაცობრიობას გადაშენებით რომ ემუქრება!..

განსაკუთრებული მხარდაჭერა იგრძნობოდა არალეგალურად მცხოვრებთა მხრიდან. მათი რაოდენობა, ოფიციალური მონაცემებით, 11 მილიონს აჭარბებს, არაოფიციალურით —გაცილებით მეტს. არჩევნებმა დაგვანახა, რომ აშშ-ი აღრიცხვიანობა მოიკოჭლებს. დასტური ამისა საიქიოში მყოფთა ხმებია — ათასობით იქაურმა მხარი ბაიდენს დაუჭირა.

არალეგალთა ესოდენი აქტიურობა ბაიდენის თვალების სილამაზით არ იყო გამოწვეული, დემოკრატთა დაპირება იყო მთავარი — თუ გაგვამარჯვებინებთ, აშშ-ის მოქალაქეობა გარანტირებული გექნებათ.

დავუმატოთ ამ უკანონობას სახელგანთქმული „კარუსელები“, ყალბი ბიულეტენები, საარჩევნო უბნებზე რესპუბლიკელ დამკვირვებელთა არდაშვება, ფოსტის მხრიდან დაშვებული უამრავი შეცდომები და მივიღებთ შედეგს, რომელსაც ვერაფრით ვუწოდებთ დემოკრატიულს, გამჭვირვალეს, სუფთას.

დემოკრატებს არ მოსწონთ რესპუბლიკელთა სიჯიუტე — ბიულეტენების განმეორებითი გადათვლის მოთხოვნის გამო. მათ არც ის მოსწონთ, როდესაც ტრამპი საჯაროდ აცხადებს გაყალბების თაობაზე, ამიტომ პრეზიდენტს წაართვეს მედიაში სიტყვის თავისუფლება. საკმარისია მან არჩევნების გაყალბებაზე დაიწყოს ლაპარაკი, რომ ტელეწამყვანი უმალ ერთვება სიტყვებით — სიმართლეს არ შეეფერება.

ქვეყანა, სადაც პრეზიდენტსაც უწესებენ ცენზურას, სადაც ტელეეურნალისტი თავს უფლებას აძლევს პრეზიდენტის სიტყვა გაწყვიტოს — დემოკრატიულად არ ჩაითვლება. ამ და უამრავი სხვა არადემოკრატიული ქმედებით გამორჩეული „ვირები“ (დემოკრატიული პარტია) და მათი ლიდერები მოითხოვენ რესპუბლიკელი ტრამპისგან არჩევნებში დამარცხების აღიარებას, წინააღმდეგ შემთხვევაში აშშ-ის დემოკრატიულ განვითარებას ზიანი მიადგება, ისე, როგორც მის იმიჯს მთელს მსოფლიოში.

აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებმა დაარწმუნა მსოფლიო იმაში, რომ ამ ქვეყანაში საქმე ვერ არის კარგად. ვიდრე ბიულეტენების ხელახალი თვლის პროცესი გრძელდება და საბოლოო დასკვნა გამარჯვებულ-დამარცხებულის თაობაზე ოფიციალურად არ გამოუცხადებიათ — ტრამპი პრეზიდენტია. ყველა შემთხვევაში ის თეთრ სახლში მომავალი წლის 20 იანვრამდე იქნება, ანუ ინაუგურაციამდე. შემდეგ დაუბრუნდება თავის საქმეს — ბიზნესს, მაგრამ გააგრძელებს ვერბალურ ბრძოლას დემოკრატებისა და ბაიდენის წინააღმდეგ.

ბაიდენის 4-წლიან პრეზიდენტობას ტრამპი სიცოცხლეს გაუმწარებს, ისე, როგორც ტრამპის 4-წლიან მმართველობას გაუმწარა სიცოცხლე დემოკრატიულმა პარტიამ და ისტებლიშმენტმა. სისტემამ ვერ იგუა ტრამპი — სისტემისგან გვერდზე მდგომი ბიზნესმენი, არა იმიტომ, რომ მილიარდერი და ბიზნესმენია, არამედ იმიტომ, რომ სისტემის საწინააღმდეგო სურვილები აქვს.

დღიდან თეთრ სახლში შესვლისა ის სისტემატურად აცხადებდა — „ვაშინგტონის ჭაობის“ დაშრობაზე, ნატოდან გამოსვლაზე, ევროკავშირის უსუსურობაზე, ავღანეთიდან ჯარის გამოყვანაზე, მსოფლიოში ამერიკის ჟანდარმობიდან ხელის აღებაზე, სხვა ისეთ თემებზე, რომლებიც ამერიკის ჰეგემონიზმის მყარი საფუძველია!

და არა მარტო ამბობდა, აკეთებდა კიდეც და რომ საბოლოოდ არ მიეღწია თავისი მიზნებისთვის, სისტემამ — ჩემი აზრით, ძირმომპალმა, მაგრამ ჯერაც მფეთქავმა, გზა გადაუკეტა — 4 წლით გაიხანგრძლივა არსებობა.

ორად გაყოფილი ამერიკა — ერთი შეხედვით ტრამპის ქაოტური მმართველობით შეწუხებულ-გამოღვიძებული, ველარ გაჰყვება დღემდე არსებულ, მაგრამ ტრამპის მიერ სასიკვდილოდ დაჭრილი სისტემის მიერ შექმნილ ცხოვრებას — მოჩვენებით დემოკრატიას, სიცრუეს, ფარისეველურ ღიმილს — აშშ-ის ტელეეკრანებიდან გადმოღვრილს, ამერიკული ცხოვრების წესის მორეკლამეს.

71 მილიონ ტრამპის ამომრჩეველს სხვა ამერიკა უნდა, ისეთი, მდიდარსა და ღარიბს შორის უფსკრულს რომ ამოავსებს. მათ თვალში თავისდაუნებურად მილიარდერი ტრამპი, სხვა მილიარდერთა წინააღმდეგ მებრძოლად იქცა — საშუალო და დაბალი ფენის ქომაგად, დამსაქმებლად, სოციალური პირობების გამაუმჯობესებლად, საკუთარი ქვეყნის პრობლემების მომგვარებლად და არა სხვა ქვეყნების დამპურებლად, მათი პოლიტიკური ამბიციების მომწესრიგებლად — ამერიკელ ჯარისკაცთა მიერ გაღებული სისხლის ფასად. მათ ამერიკა უნდათ თავიანთი თავისთვის. მათ არ უნდათ სხვისთვის მომართული ამერიკა.

ტრამპი და ტრამპიზმი ის მოვლენაა, რომელსაც ბაიდენის ოთხწლიანი პაუზა ვერ შეანელებს, ვერ გააფერმკრთალებს. დუღილი დაწყებულია, რასაც უდავოდ მოჰყვება ცვლილება. ხედავს ამას მსოფლიო, მათ შორის ჩვენ? ვეჭვობ, რომ ხედავდეს!..

მსოფლიოზე არაფერი მოგახსენოთ, მაგრამ საქართველო რომ ვერ ხედავს, ფაქტია. ოპოზიციისა და მათზე მიტმასნილი საზოგადოების ქმედებიდან გამომდინარე, სასიკეთო არ ჩანს. ისეთი შეგრძნებაა, თითქოს ერთ ადგილას გავიყინეთ და თუ რაღაც მოძრაობას ვახერხებთ, მხოლოდ უკან. არადა 30 წელია, რაც ნანატრ „დამოუკიდებლობაში“ ვიმყოფებით — ისეთ „დემოკრატიულში“, როგორც ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს აქვს.

მავანი მეტყვის, რა გაეწყობა, ასეთია პატარა ქვეყნების ბედიო. ჩვენ რომ „პატარები“ ვართ, სიახლე არ არის. მსოფლიოში „პატარები“ ბევრია, გაცილებით მეტი, ვიდრე „დიდები“. ოღონდ „პატარაობამ“ მათ სხვა რამ ასწავლა — ჭკუა-გონების ქვეყნის სასარგებლოდ ტრიალი; საღი, პრაგმატული, გონივრული გადაწყვეტილებების მიღება; რეალური ცხოვრების გონივრული აღქმა და არა ვირტუალურის რეალურად წარმოსახვა. არარეალურის და ვირტუალურის მიმართ თაყვანისცემამ რა მოუტანა ჩვენს მეზობელ პატარა სომხეთს, სულ ახლახან ვიხილეთ — მწარე სიმართლე, მარცხი. შორეულით, ვირტუალურით, არარეალურით გატაცებამ გამოიწვია ეს და საკუთარი ხალხის უაზრო ხოცვა-ჟლეტა.

დასავლეთში გაწვრთნილი სომხეთის ლიდერი და მისი გუნდი, ხელისუფლებაში „ფერადი რევოლუციის“ გზით მისული, დასავლეთის მოთაყვანე და მოიმედე, ფსევდოპატრიოტიზმით გაბრუებული, ჭოგრიტის შებრუნებული მხარიდან მეზობლებისა და საკუთარი პრობლემების შემყურე, საბედისწერო ნაბიჯს დგამს, რითაც საკუთარ თავსაც და ქვეყანასაც უმძიმეს ვითარებაში აყენებს.

...2 წლის განმავლობაში სომხეთი ანტირუსული პროპაგანდის ბუდედ იქცა. გაჩნდა რუსული სამხედრო ბაზების საწინააღმდეგო ლოზუნგები. სკოლებში აიკრძალა რუსული ენის სწავლება. ერევანში გახშირდა ამერიკელი, ევროპელი, ნატოელი მაღალჩინოსნების ვიზიტები. პრაგმატულად მოაზროვნე სომხეთმა, დასავლური ვაქცინით გაბრუებულმა, დაკარგა ჩვეული სიფხიზლე, რეალობის შეგრძნება და აზერბაიჯანთან მოლაპარაკებას ომი ამჯობინა, ცხადია დასავლეთის იმედით.

სამწუხაროდ, ყოველივე ეს ჩვენს უახლოეს წარსულს მაგონებს, ოღონდ ერთი განსხვავებით — დამარცხებით გაბრაზებული სომხები, სისტემატური მიტინგებით და ანტისამთავრობო გამოსვლებით მოითხოვენ პრემიერ ფაშინიანის გადადგომას და პასუხისგებაში მიცემას. ჩვენ კი, 2008 წლის ომში დამარცხებული ხელისუფლება და პრეზიდენტი დავიცავით, დამარცხება, გამარჯვებად გამოვაცხადეთ და პარლამენტის წინ ცეკვა-თამაში მოვაწყვეთ.

იმ შეცდომას დღემდე ვიმკით!

ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲩᲘᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲞᲝᲚᲘᲢᲝᲚᲝ�გᲘ.

◎ „ᲕᲤᲚᲝᲒ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲡ“!

ᲠᲐᲡ ᲐᲡ�წᲐᲕᲚᲘᲡ ᲧᲐᲠᲐᲑᲐᲦᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲡ, ᲡᲝᲩᲣᲛᲡ, ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲡ!..

(ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

„ბევრი ამბობს, რომ აზერბაიჯანის მთავრობამ კარგად იმუშავა, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ ბაქოს მუშაობა ძირითადად მიმართული იყო რუსეთთან დაახლოებაზე, რაც ჩვენთვის მიუღებელია. აზერბაიჯანის და რუსეთის მთავრობები, დაახლოებით, ერთნაირი იდეოლოგიური ნიშნების მატარებლები არიან. თუ აზერბაიჯანი დააპირებდა, სომხეთის მსგავსად, დემოკრატიის გზით წასვლას, მაშინ ის ვერ მოახერხებდა რუსეთის მხარდაჭერის მოპოვებას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მხარდაჭერის ტოლფასს არჩარევას“, — ამბობს კახა გოგოლაშვილი, რომლის თქმითაც, აზერბაიჯანი არ არის საუკეთესო ვითარებაში თუნდაც იმის გამო, რომ სსრკ-ს დაშლის შემდეგ მის ტერიტორიაზე პირველად განთავსდა რუსეთის ჯარი: **„ჩვენ ვიცით, ისტორიულად რა როლს ასრულებდა რუსეთის ჯარი ამ ტერიტორიაზე: დანაწილება, სახელმწიფოებრიობის ნიშნების ჩაკვლა, ვითარების სრული კონტროლი, ასიმილაცია და ა.შ. ამის ბევრი მაგალითი არსებობს ჩრდილოეთ კავკასიაში, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, სადაც ხდება სრული ასიმილაცია, რუსულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში დანთქმა... თანაც, ყარაბაღი ახლა დაცულია რუსეთის ჯარით. ადრე პირისპირ იდგნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის შეიარაღებული ძალები და სულ იყო იმედი, რომ აზერბაიჯანი თავისი ძალებით გაათავისუფლებდა ყარაბაღს. ახლა სომხების ნაცვლად იქ რუსი სამშვიდობოები დგანან. მართალია, დგანან 5 წლით, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ რუსეთი ადვილად არ გადის ერთხელ დაკავებული ტერიტორიიდან. აზერბაიჯანმა რომ მოითხოვოს 5 წლის შემდეგ მათი გასვლა, რუსები აუცილებლად მოძებნიან არაერთ მიზეზს, რათა დააკანონონ თავიანთი ყოფნა. ასე რომ, ოკუპირებული შვიდი რაიონის დაბრუნება არ ნიშნავს იმას, რომ აზერბაიჯანმა თავისი ტკივილი მოირჩინა“.**



რაც შეეხება რუსეთის გარეშე, დამოუკიდებლად მოქმედების პრესპექტივას, ცნობილი რუსი პოლიტოლოგი **სერგეი მალაშენკო** მიიჩნევს, რომ არამართებულია ყარაბაღის კონფლიქტის შედარება არა მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, არამედ დნესტრისპირეთისა და დონბასის კონფლიქტებთანაც კი.

„მთიანი ყარაბაღი — ეს სომხეთ-აზერბაიჯანის პრობლემაა. და თუ ამ პრობლემის გადაჭრაში შესაძლებელია თურქეთის, თუნდაც ნიკარაგუის ჩართვა, მეტისმეტად პრობლემურია საერთაშორისო პოლიტიკიდან ვინმეს ჩართვა „ოსური კონფლიქტის“ გადაჭრის საკითხში. ვინ შეიძლება მოიზიდო? შვედეთი? რა თქმა უნდა, შეიძლება სცადო, მაგრამ არაფერი გამოვა. ყარაბაღი — ეს არის კონფლიქტი ორ სუბიექტს შორის, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. აქ რუსეთი შუამავალია, სამხრეთ ოსეთში კი საქართველო და რუსეთი კონფლიქტის მონაწილეები არიან“, — ამბობს სერგეი მალაშენკო.

ᲯᲘᲛᲨᲔᲠ ᲠᲔᲮᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი 2003 წლიდან.

ᲰᲘᲛᲜᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

იბობოქრეთ პარტიებად, აუბნიეთ ხალხს გზა-კვალი

ჩა-რი-რამა!
ჩაიარეს!
არჩევნების ჩაკვდა არე,
დატოვებულ ამ იარებს
ერთხელ კიდევ ჩარი-რამა!
რაც გულს შემოეჭდო მძაფრად
სახვალიოდ იფრიალებს
მორიგ არჩევნების აფრად!
ნახეთ,
ნახეთ, კარგად ნახეთ,
გრძნობებისგან მოცახცახე
მლიქვნელების, შარლატანთა,
მოშლილი და ხისტი სახე!
არჩევანი?
ჩაწყობილი,
მოქნეული შინდის სახრე,
აფიორისთვის სახეიროდ,
სასეირო, პონტი საქმე!
ზოგი – იქით,
ზოგი – აქეთ!
ერთად დგომა –
სიბრძნის ქობა
ბებოს სკივრში მოათავსეთ!
იმოძრავეთ, იმოქმედეთ!
საქმიანი სახე გქონდეთ!
სიყალბეთი, სიცრუეთი,
საჭიროა?
არ დაინდოთ
მისხლისტოლად ერთმანეთი!
თქვენთვის სახეირო შედეგს
უსათუოდ დადებს ღმერთი!
იბობოქრეთ პარტიებად,
აუბნიეთ ხალხს გზა-კვალი,
რისი განსჯა, პატიება,
როცა გახდის მაზაკვალი!
სიცრუის ზღვამ,
ორპირობამ
შეკრას ერთი დიდი რკალი,
შხამიანმა ჟამთ ობობამ
დროზე მოკლას მოსაკლავი!
თქვენც ცდას ნუღა დაიშურებთ,
გააბრწყინეთ მომავალი,
სანატრელო, ვაი, შური,
აი, მესმის! გზნება ხვალის!
არჩევნები? აი, საქმე,
ამრისხანეთ ენის ხმალი,
ცხვრად გაბნეულ უვიც მასაბეს
მართლაც უნდა ერკემალი!
აბა, მიდით!
ჩარი-რამა!
ამ ცეკვაში გაიხარეთ,
ფერდჩაცვენილ მშიერ ხარებს
ბალახივით დაუყარეთ
სატყუარა – რუმე – რამე!

დაწყებულა სხვა ეტაპი,
გამოცვალეთ ხერხის ტაქტი,
ჯერაც იმოქმედეთ ძმურად;
არჩევანის დღე-კვიმატი
ნუ ჩათვალეთ
ხარახურად!
ჩაწყობილი წესის კარტი –
თავზე ქუდად
დაგეხუროთ!
არ ვთქვათ: სევდა
მოგესიათ,
თორემ კაცი უმალ
ტყდება,
მიმზიდველი პოეზია –
არჩევნების ჩატარება!

ჩარი-რამა, ჩარი-რამა!
არჩევნები გვიცდის,
ძამა!



ᲓᲘᲚᲐᲠ ᲘᲕᲐᲠᲓᲐᲕᲐ

„მოით, მოქუჩდით, ამბავს ავწერ ადრინდელსა“

რუბრიკას უძღვება ქეთევან ყუბანეიშვილი

... ᲪᲘᲪᲘᲐᲜᲝᲕᲘ ᲐᲦᲛᲐᲠᲗᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲒᲡ, „ᲡᲘᲒᲐᲜᲔ ᲘᲛᲝᲓᲔᲜᲐ ᲔᲥᲜᲔᲒᲐ, ᲣᲠᲔᲛᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲔᲢᲝᲜᲡ ᲒᲐᲔᲕᲚᲔᲒᲐᲝ“

და, ალბათ, მკითხველი მიხვდება, დღეს ბარათაშვილის აღმართის ისტორიას გიამბობთ.



ᲞᲐᲕᲚᲔ ᲪᲘᲪᲘᲐᲜᲝᲕᲘ

ჰოდა, მოით, მოქუჩდით, ამბავს ავწერ გასაოცარს.

ჩვენი თბილის-ქალაქის ეს კლდოვანი აღმართი ძველად არაფრით გამოირჩეოდა, გარდა „იმ ჩამონაჟონი წყლისა, დღესაც რომ მოწანწკარებს“ კლდოვან კალთებზე და რადგან წყალი მინერალებს შეიცავდა (და შეიცავს), ტფილისელები თვალის სამკურნალოდ ხმარობდნენ ერთ დროს. კლდოვან აღმართზე კი ბილიკი გადიოდა, სადაც ორი კაცი ერთად ვერ გაივლიდა და ამბობენ, ერთხელ საიდანღაც „გაგიჟებული“ ხარი გამოვარდნილა და ვინც ამ ბილიკზე დახვედრია, ყველა გაუწყვეტიაო.

... და ქალაქში ხმა დაირხევა – აღმართს აკეთებენო. ტფილისში იმასაც ამბობდნენ, გზის გაჭრის იდეა შეძლებულ თავადს ფარსადან ციციშვილს ეკუთვნისო, რომელიც კავკასიის მთავარმართებლის პავლე ციციანოვის კუზენი გახლდათ. ფარსადანი ერთ ხანს პეტერბურგში მსახურობდა და საქართველოში დაბრუნებისთანავე საზოგადოებრივ საქმიანობში ჩაბმულა. პენსია წელიწადში 500 რუბლი ჰქონია, გზა საკუთარი ხარჯებით გაუყვანია და „ციციანოვის აღმართი“ ამიტომ უწოდესო (1885 წ.).

ჰო, მაგრამ აი, რას წერს ძველი ტფილისის ქეშიკი (მცველი) და ავანჩავანი იოსებ გრიშაშვილი – **„მე მგონია, ამ აღმართს ეწოდა გადაგვარებულ პავლე ციციანოვის სახელი, რომელიც ცარიზმის განსამტკიცებლად ნატრობდა „მტრების სისხლში თავის ჩექმების გაბანას“.**

ჰოდა, გაგაცნობთ ამ „გადაგვარებულ“ ქართველს.

პავლე ციციანოვის ბაბუა პაპუნა ციციშვილი იმ დიდებულთაგანი გახლდათ, რომელიც რუსეთში ემიგრაციაში გაჰყვა ვახტანგ VI-ეს (1724 წ.). პავლე რუსეთში დაბადებულა, სამხედრო განათლებაც რუსეთშივე მიუღია და 1802 წელს, აწ უკვე „მრისხანე გენერლად“ წოდებული, კავკასიას მოევლინება მთავარმართებლად (1802-1806 წწ.).

„ᲪᲘᲪᲘᲐᲐᲜᲗ ᲐᲦᲛᲐᲠᲗᲘ“

მოევლინება და ...

აქ კი გადავდივარ ერთ გახმაურებულ მკვლელობაზე და გიამბობთ, თუ რატომ მოკლა ქართლ-კახეთის უკანასკნელმა დედოფალმა მარიამმა რუსი გენერალი ივანე ლაზარევი და რა კავშირშია ეს ციციანოვთან.

პავლე ციციანოვი, ეს „მრისხანე გენერალი“, იმპერატორ ალექსანდრე I-ის დიდი ნდობით სარგებლობდა და საქართველოში ჩამოსვლისთანავე, რუსული რეჟიმის განმტკიცების მიზნით, მალევე შეუდგა სამეფო ოჯახის წევრების იძულებით გადასახლებას რუსეთში (რაც შეფარვით წარმატებით შეასრულა), მაგრამ ქართლ-კახეთის უკანასკნელი დედოფალი მარიამი (მეფე გიორგი XII-ის ქვრივი, გვარად ციციშვილი, ციციანოვისვე ნათესავი) ემიგრაციაში წასვლაზე უარს იყო. მეფისნაცვალი ყოველ ღონეს ხმარობდა დედოფალი რუსეთს დროულად გამგზავრებულიყო, რათა „აღკვეთილ იქნას ... შფოთი და არეულობა“ ქვეყანაში, მაგრამ ...

.. დედოფალი უარს იყო ...

... იდგა 1803 წლის 18 აპრილი ...

... დარეჯანის სასახლეს, სადაც დედოფალი მარიამი შვილებთან ერთად (8 ვაჟი და 3 ქალიშვილი) ჯერ კიდევ ძილად განისვენებდა, დილის 8 საათზე, გენერალი ივანე ლაზარევი სასახლეს ჯარით ალყას შემოარტყამს, დაუკითხავად შეიჭრება დედოფლის საძინებელში, მარიამს მკაცრად წაუყენებს ციციანოვის ულტიმატუმს, აიძულებს შვილების გაღვიძებასა და ...

... და დედოფალი თვალებს არ უჯერებს ... თითქოს სიზმარშია ... იგი მალევე გამოერკვევა და გენერლის თავხედობით აღშფოთებული ხანჯალს იშიშვლებს, ლაზარევს შიგ გულში დაჰკრავს და ადგილზევე მოკლავს ...

... თავად კი, ნახევრადშეშლილი, გონებას კარგავს ...

...გენერლის მკვლელობის ამბავი რუსეთის იმპერიას მალე მოედო და იმპერატორი ალექსანდრე I ბორკილდადებულ დედოფალს შეიწყალებს და...

... ქართლ-კახეთის უკანასკნელი დედოფალი, 35 წლის ასაკში, სამშობლოს იძულებით სამუდამოდ დატოვებს და პეტერბურგს გაემგზავრება ... გზად მიმავალს, ციციანოვისვე ბრძანებით, მკაცრ მეთვალყურეობას დაუწესებენ ... ამბობენ, დედოფალს ჭამის დროს დანა-ჩანგლის გამოყენების უფლებას არ აძლევდნენ,

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ ᲮᲐᲜᲯᲚᲘᲗ ᲙᲚᲐᲕᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲕᲡ

რადგან საშიშია, კაცი „მხეცურად მოკლაო“ ...

რუსეთში, აწ უკვე, Мария Георгиевна-ად წოდებული დედოფალი, სიცოცხლის ბოლომდე მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ დარჩება და 81 წლის ასაკში, მოსკოვში გარდაიცვლება ქართლ-კახეთის უკანასკნელი დედოფალი მარიამი... (დაკრძალულია სვეტიცხოველში).

...ესეთი გახლდათ მარიამ დედოფლის ცხოვრებისეული ისტორია, რომლის ტრაგიკული ბედი იმ გადაგვარებული ქართველის სახელს უკავშირდება, რომელიც „ცარიზმის განსამტკიცებლად ნატრობდა მტრების სისხლში თავის ჩექმების გაბანას“ ... და თავად 52 წლის ასაკში, რუსეთის Царь-ის დავალებით წარგზავნილ „მრისხანე გენერალს“, ბაქოში მოლაპარაკებების დროს თავს მოჰკვეთენ (1806 წ.) და მოკვეთილ თავს სპარსეთის შაჰს გაუგზავნიან ... (დაკრძალულია სიონის ტაძარში).

რაც შეეხება ბარათაშვილის აღმართს – მკითხველი თავად განსჯის, რომლის გვარს ატარებდა „ციციანთ აღმართი“ ...

დასასრულ ერთ ისტორიასაც გიამბობთ და დაგემშვიდობებით – იცით თუ არა, ციციანოვის აღმართი საბჭოთა წყობის დროს ტერორისტისა და რევოლუციონერის ივანე კალიაევის სახელს რომ ატარებდა? რომელმაც, 1905 წელს, „დღისით, მზისით“, „კარეტაში“ ყუმბარის გასროლით ნაფლეთებად აქცია თვით რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II-ის ვაჟი, Великий Князь სერგეი ალექსანდროვიჩი. ამბობენ, სიკვდილმისჯილი ტერორისტი საკანში თავად ცარიცა ელიზავეტა ფეოდოროვნამ ...

თუმცა, ეს სულ სხვა ისტორია გახლავთ და თხრობას აღარ გავაგრძელებ, მაააშ...

◎ ძლევაი საკვირველი

ლეკვი ლომისა სწორია...

მაშინ, როცა ქართველი ვაჟები საინფარქტო მატჩებით „გვანებივრებენ“, ჩვენმა ქალბატონებმა გმირული გამარჯვებით გაგვახარეს.

საუბარია **გიორგი ჩხაიძის** გაწვრთნილ „ლანჩხუთზე“, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად რუმინელ „კლუჟს“ 1:0 სძლია და მეთექვსმეტედფინალში ითამაშებს („ოქროს“ გოლი 68-ე წუთზე **ხატია ჭყონიამ** გაიტანა).

მორიგი ეტაპის კენჭისყრა 26 ნოემბერს მოეწყობა, თვით მატჩები კი 9-10 და 15-16 დეკემბერს გაიმართება.

ბეჟან დოლიძე

◎ ნოკაუტი

როცა ბუნებაც ტიროდა

ხომ იცით, შემთხვევით არაფერი ხდება.

ჰოდა, სავსებით ლოგიკურად გამოიყურებოდა ის ამინდი, რომლითაც ისტორიაში მეორე ერთა ლიგა გავაცილეთ. დიახ, სიმბოლურად, თითქოს ბუნებაც ტიროდა ჩვენს მწარე ხვედრზე და ცრემლებით წვიმის სახით უხვად გვნამავდა.

ეს „ც“ დივიზიონის ფინიშზე მოხდა, როცა თბილისში მეორე ჯგუფის აუტსაიდერ ესტონეთთან თანამემამულეებმა კიდევ ერთხელ გაგვაწბილეს — 0:0.ამ შეხვედრისთვის მასპინძლები ქვეყნის 19-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა რამაზ სვანაძემ მოამზადა, რადგან ვლადიმირ ვა-

ისი ვადამდე დაემშვიდობა ბიჭებს.

ზოგი აქცენტს სლოვაკი სპეციალისტის სარეკორდო — ხუთწლიან მოღვაწეობასა და ამ პერიოდში მისი ხელმძღვანელობით „ჯვაროსანთა“ მიერ გამართულ 47 მატჩზე აკეთებს, მაგრამ იმას კი აღარ ამბობენ, საამაყო რა დაგვიტოვა ქართველებს. თუ ასეთად ესპანეთთან ამხანაგურ თამაშში მოპოვებულ წარმატებას ჩავუთვლით, მაშინ არ ჯობდა, მაშინვე, გამარჯვებულის სტატუსით დაეხურა ქუდი და თავაწეული ღირსეულად გაგვყოროდა? ასე ხომ არაერთი მისი კოლეგა მოქცეულა და მათ დღესაც კეთილად იხსენიებენ.

ასე რომ, ტურნირის დასაწყისში უეფას ყოფილ პრეზიდენტ მიშელ პლატინისადმი გამოთქმული მადლიერება, რომელმაც ახალი კონტინენტური ფორუმის დაფუძნებითა და მისი ჩვენისთანა მაჩანჩალებისთვის საოცნებო ფორმატის შერჩევით ევროპულ ელიტაში შეღწევის იდეალური შანსი მოგვცა, უდიდეს იმედგაცრუებად გვექცა.

საპირისპირო სურათია მეტოქეთა ბანაკებში, რომლებსაც, რომ იტყვიან, ღარიბს ართმევს, მდიდარს აძლევსო, ისეთი საჩუქრები გავუკეთეთ: ჩრდილოეთ მაკედონიას გაისად უმაღლესი საზოგადოების ფინალურ რაუნდში ექნება დებიუტი, ნაომარი სომხეთი კი „ბ“ დივიზიონში აღზევდა!

სომხეთი — ჩრდილოეთ მაკედონია 1:0.

საბოლოო მდგომარეობა: სომხეთი — 11, ჩრდილოეთ მაკედონია — 9, საქართველო — 7, ესტონეთი — 3 ქულა.

რაც შეეხება ბობოლებს, ტიტულისთვის იბრძოლებენ საფრანგეთი, ესპანეთი, ბელგია და იტალია, ხოლო „ა“ დივიზიონში დაწინაურდნენ ავსტრია, ჩეხეთი, უნგრეთი და უელსი.

გიორგი ზოთაძე

◎ სუმო

დადებით ბალანსთან



ქართველმა სუმოისტმა ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი) ნოემბრის ბაშოზე მე-13 ბრძოლა გამართა და მეშვიდე გამარჯვება გაიფორმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ლევანს ამ ბაშოზე დადებითი ბალანსის დასაბევებლად დარჩენილი ორიდან ერთი შეხვედრის მოგებაღა სჭირდება.

გუშინ მისი ოპონენტი მესამე მაეგაშირა ოკინუომი იყო, რომელმაც დიდი წინააღმდეგობა გაუწია ქართველს, თუმცა, იორიკირის ილეთით მაინც დამარცხდა.

ტოჩინოშინის მომდევნო მეტოქე დღეს კაისეი იქნება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ აღიარება

უეფამ დააფასა

მარტვილის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის ხელმძღვანელს ჯესი სურმავას უეფამ ჯილდო წლის საუკეთესო გრასრუტ ლიდერის ნომინაციაში გადასცა.

სურმავა ამ ნომინაციაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ წარადგინა და ის გახდა პირველი ქართველი, რომელმაც ეს პრიზი მიიღო. მარტვილის მუნიციპალიტეტში საფეხბურთო სკოლა მან რამდენიმე წლის წინ დააარსა, სადაც 300-ზე მეტი ადგილობრივი ბავშვი ვარჯიშობს.

პროექტის ფარგლებში ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანო გამარჯვებულებს ყოველწლიურად ხუთ ნომინაციაში ასახელებს — საუკეთესო გრასრუტ პროექტი, საუკეთესო გრასრუტ ლიდერი, საუკეთესო გრასრუტ კლუბი, საუკეთესო ინიციატივა შშმ პირებისთვის და საუკეთესო პროფესიული საფეხბურთო კლუბი. პრიზი გადაეცემა იმ ადამიანს, რომელიც ასაკის, შეესაძლებლობების, სქესის და სხვა ფაქტორების გარეშე, ფეხბურთში ადამიანების ჩართულობას უწყობს ხელს.

◎ ევრობასკეტი

კოვიდის თანხლებით

როგორც მოგეხსენებათ, კორონავირუსის პანდემიის გამო ევრობასკეტის საკვალიფიკაციო რაუნდის შეხვედრები მიმოსვლის ნაცვლად ერთ-ერთი მონაწილე ქვეყნის სარბიელზე შეკრებას ითვალისწინებს.

აღნიშნული ფორმატის შესაბამისად, საქართველო, ფინეთი, სერბეთი და შვეიცარია „ბაბლის“ პრინციპით სუომის ქალაქ ესპოოში გამართავენ ჯგუფური ტურნირის შეხვედრებს, სადაც 28 ნოემბერს მასპინძლებს, ხოლო 30 ნოემბერს ნეიტრალური ალპური სახელმწიფოს წარმომადგენლებს დავუპირისპირდებით.

შეგახსენებთ, რომ ილიას ზუროსის გუნდს ფინალური ეტაპის საგზური, როგორც მომავალი ფორუმის ერთ-ერთ ორგანიზატორ ქვეყანას, უკვე განაღდებული აქვს და დასახელებულ კვარტეტს ორი გამარჯვებით ლიდერობს, თანაც თებერვალში დაგეგმილი მორიგი „ფანჯრის“ მიღებაზეც აცხადებს პრეტენზიას.

დავძენთ, რომ დატვირთული გრაფიკი აქვს ფიბას ერთადერთ ქართველ კომისარსა და ტექნიკურ დელეგატს **მერაბ რატიშვილს,** რომელიც „ა“ და „ე“ ჯგუფების თამაშებს მოემსახურება.

ამჟამად ჩვენი თანამემამულე საბერძნეთის კუნძულ კრეტაზე იმყოფება, სადაც ქალაქ ირაკლიონში ქალთა ევრობასკეტის შესარჩევი ციკლის ნაკრებები არკვევენ ურთიერთობას.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რვა ერი

სათუო მეოთხე

დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრები შემოდგომის ერთა თასზე მეორე მატჩს უელსთან ქალაქ ჰლანეჰლიში გამართავს. აღნიშნული შეხვედრის პირდაპირ რეპორტაჟს „ტელეიმედი“ 21 საათიდან და 15 წუთიდან შემოგვთავაზებს.

ამასობაში კორონავირუსი ფიჯის გუნდის ერთბაშად 29(!) მორაგბეს დაუდასტურდა, რის გამოც მისი და იტალიის ბრძოლა გაუქმდა და, ისევე როგორც ტურნირის სტარტზე ფრანგებთან, კუნძულელებს ამჯერადაც ტექნიკური წაგება ჩაეთვლებათ ანგარიშით 0:28.

ფორსმაჟორის გათვალისწინებით, ძნელი სათქმელია, რამდენად სწრაფად გამოჯანმრთელდებიან კოვიდ-19-ისგან ინფიცირებულები და შეძლებენ თუ არა ისინი ნოემბრის ბოლოს ჯგუფური რაუნდის ფინიშზე შოტლანდიასთან შერკინებას.

თუ ისინი ვეღარ გააგრძელებენ ასპარეზობას, ალბათ, ამით „ბორჯღალოსანთა“ გეგმებიც შეიცვლება, რადგან, სავარაუდოდ, ჩვენებურებს სწორედ ფიჯელებთან მოუწევთ მე-7 ადგილისთვის ჯახი.

კობა კობახიძე

◎ ლეგიონერი

ზედიზედ მეხუთე

მოსკოვის ცსკა ჩინებულ კონდიციებშია და ევროლიგაში ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა, თუმცა, იგივეს ვერ ვიტყვით თორნიკე შენგელიაზე. ქართველი მძიმე ფორვარდი რუსულ გრანდში აღნიშნულ ეტაპზე აშკარად ჩრდილშია.

არმიელები მიუნხენში „ბაიერნს“ ესტუმრნენ და პირველი ტაიმის შემდეგ 3 ქულით აგებდნენ, მაგრამ მესამე და მეოთხე პერიოდები მოიგეს და წარმატებაც იზეიმეს — 89:81.

თორნიკე შენგელიამ მხოლოდ 19 წუთი ითამაშა, ხსენებულ დროში კი 6 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. ქართველმა ლეგიონერმა 3-დან 1 ორქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, ხოლო ორჯერ სამქულიანი არაზუსტად ისროლა. შედეგად, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი მხოლოდ 3-ს გაუტოლდა.

ცსკაში საუკეთესოები ნიკოლა მილუტინოვი (18 ქულა, 12 მოხსნა) და მაიკ ჯეიმსი იყვნენ (25 ქულა, 2 მოხსნა, 2 პასი, 3 ჩაჭრა), „ბაიერნში“ კი ჯალენ რეინოლდსი (18 ქულა) და უეიდ ბელდვინი (19 ქულა) გამოირჩნენ.

ცსკა ამ გამარჯვებით სწორედ „ბაიერნს“ გაუთანაბრდა (7 მოგება, 3 წაგება) და გერმანულ კლუბთან მეორე-მესამე ადგილებს იყოფს. მომდევნო ტურში დიმიტრის იტუდისის გუნდი 26 ნოემბერს მოსკოვში მადრიდის „რეალს“ დაუხვდება.

როსტომ რაჭველიშვილი

სანთელი

ღრმა მწუხარებით იუწყებიან და თანაუგრძნობენ გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს, ღირსეულ მამულიშვილს, უპირველეს მეგობარს გურამ გუნავას ძვირფასი მეუღლის

ნანული მხეიძე-გუნავას

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებენ ოჯახსა და სანათესაოს.

ვწუხვართ და განვიცდით, რომ შექმნილი რთული სიტუაციის გამო ღირსეულ პატივს ვერ გამოვხატავთ.

მეგობრები:

გივი აბდუშელიშვილი, გივი აბზიანიძე, ვალერი ასათიანი, გიზო ბაძანიძე, ჯემალ ბერიძე, თამაზ გაბუნია, რამაზ გოგლიძე, ბაკურ გულუა, თემურ თოფურიძე, ომარ კაჭარავა, რესან კონცელიძე, გიზო კუხალაშვილი, მიშა კუხალაშვილი, ჯემალ კუხალაშვილი, ნიკო ლეკიშვილი, ვაჟა ლორთქიფანიძე, გიორგი სალუქვაძე, დავით სალარიძე, ბორის სარალიძე, მირზა ქორქაშვილი, თამაზ ყიფიანი, გრიგოლ შონია, ვაჟა შუბლაძე, დავით ჩხეტიანი, გიორგი ცინცაძე.

ყოფილი თანამშრომლები და უახლოესი მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან და თანაგრძნობას უცხადებენ ღირსეულ მამულიშვილსა და უკეთილშობილეს ადამიანს, ბატონ გურამ გუნავას ძვირფასი მეუღლის

ნანული მხეიძე-გუნავას

გარდაცვალების გამო.

თინა ჯღამაძე, ციური თორდია, ოთარ ჭითანავა, ბონდო ჯიქია, კლიმენტი ჯანჯღავა, ბაკურ გულუა, რაულ ჩილაჩავა, ზურაბ გოგოხია, ვაჟა ფიფია, ჯემალ კვირტია, ვალერი ჭანტურია, დემიკო ლოლაძე, ლაური ჯანაშია, ლერი ჭითანავა, ტარიელ დგებუაძე, დემურ გადელია, მერი ჭითანავა, ანზორ ჭითანავა, ნოდარ შარტავა, თენგიზ შანავა, თემურ სურგულაძე, შაქრო ჭითანავა, მურმან ნაჭყებია, გივი სოსელია, ავთანდილ ბესელია, მამუკა კვარაცხელია, ნუგზარ მოლაშხია.

ვიტალი ხაზარაძე, დემურ გადელია, პეტრე ბერაია, თემურ კალანდაძე, ელიზბარ ლომინაძე, სპარტაკ ქობულია, ბესიკ კილასონია, ზაურ ამილახვარი, ვახტანგ კიკნაძე, სამველ მარსაგიშვილი, ნოდარ ზაზაძე, რომან კვაჭაძე, ჯამბულ წულაია ოჯახებით თანაუგრძნობენ უახლოეს მეგობარს გურამ გუნავას საყვარელი მეუღლის, ღირსეული ქალბატონის

ნანული მხეიძე-გუნავას

გარდაცვალების გამო.

საზოგადოება ზუგდიდელის სახელით ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია, მურმან ნაჭყებია, იური გუგუჩია, თამაზ ცანავა, გივი სოსელია, კარლო ვეკუა, ვაჟა ფიფია გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უსათნოესი, კოლხი ქალის განსახიერება, საოცრად თბილი და მოსიყვარულე მეუღლე, დედა და ბებია, მხეიძეების სახელოვანი გვარის ღირსეული მანდილოსანი

ნანული მხეიძე-გუნავა

და ამ დიდ მწუხარებაში თანაუგრძნობენ მეუღლეს, თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეს, ქვეყნის საამაყო პიროვნებას, ბატონ გურამ გუნავას და მის ღირსეულ ოჯახს.

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო თანაუგრძნობს დიდ მწუხარებაში მყოფ რაიონის საპატიო მოქალაქეს, ბატონ გურამ გუნავას მეუღლის

ნანული მხეიძე-გუნავას

გარდაცვალების გამო.

დარეჯან ელიაძე, მიხეილ დუნდუა ოჯახებით უდიდესი გულისტკივილით იუწყებიან ახლობელი ადამიანის, კეთილშობილებით და სათნოებით გამორჩეული პიროვნების

ნანული მხეიძე-გუნავას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მწუხარებაში მყოფ მეუღლეს, ბატონ გურამ გუნავას, შვილებს და შვილიშვილებს.

მერვედ და კახა კუპრავები ოჯახებით იუწყებიან სათნო, კეთილშობილი პიროვნების

ნანული მხეიძე-გუნავას

გარდაცვალებას და დიდ მწუხარებაში თანაუგრძნობენ მეუღლეს, ბატონ გურამ გუნავას, შვილებს გურანდა, თორნიკე გუნავებს და მათი ოჯახის წევრებს.

ლილი გუგუშვილი, ზაურ თელია ოჯახებით თანაუგრძნობენ დიდ მწუხარებაში მყოფ ბატონ გურამ გუნავას მეუღლის

ნანული მხეიძე-გუნავას

გარდაცვალების გამო.

ნანული (ნანა) გუნია ოჯახით სამძიმარს უცხადებს ბატონ გურამ გუნავას მეუღლის

ნანული მხეიძე-გუნავას

გარდაცვალების გამო.

სოსო ქოიავა, რობერტ ჭანტურია, გია კუცია, გია ქობალავა მწუხარებაში თანაუგრძნობენ ბატონ გურამ გუნავას მეუღლის

ნანული მხეიძე-გუნავას

გარდაცვალების გამო.

აწ გარდაცვლილი რომან კიზირიას მეუღლე ლია ადამია ოჯახით მწუხარებით თანაუგრძნობს ბატონ გურამ გუნავას მეუღლის

ნანული მხეიძე-გუნავას

გარდაცვალების გამო.

აწ გარდაცვლილი თენგიზ კალანდაძის მეუღლე ფოთოლა კალანდაძე ოჯახით თანაუგრძნობს ბატონ გურამ გუნავას მეუღლის

ნანული მხეიძე-გუნავას

გარდაცვალების გამო.

მარინა კანდელაკი მწუხარებით თანაუგრძნობს ბატონ გურამ გუნავას და მის ოჯახს მეუღლის, ღირსეული პიროვნების

ნანული მხეიძე-გუნავას

გარდაცვალების გამო.

შაქარას მკვლელები დასაჯეს!

გიორგი შაქარაშვილის საქმეზე სამ არასრულწლოვანს – ხუთი წლითა და სამი თვით, ორს – ექვსი წლითა და ცხრა თვით, კიდევ ერთს კი სამი წლითა და ცხრა თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

მცხეთის რაიონულ სასამართლოში სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებით გამართულ სხდომაზე ხუთი წლით და სამი თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრათ ლ.შ.-ს, ნ.ც-ს, გ.მ.-ს. სამივე ძალადობასა და ძალადობის ორგანიზებაში არიან ბრალდებულები.

ასევე ძალადობისა და ძალადობის ორგანიზების მუხლებით განესაზღვრა სამი წლითა და ცხრა თვით თავისუფლების აღკვეთა ნ.ქ.-ს. რაც შეეხება ა.ქ.-სა და ზ.ხ.-ს, მათ ძალადობისა და ძალადობის ორგანიზების გარდა, დამატებით თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისთვისაც ჰქონდათ ბრალი წარდგენილი. თითოეულ მათგანს სასამართლომ ექვსი წლითა და ცხრა თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. სასამართლომ გიორგი შაქარაშვილის საქმეზე დაკავებულ არასრულწლოვნებს გამამტყუნებელი განაჩენი 13 ნოემბერს გამოუტანა.

4 000 ადამიანი სტაბილური წყალმომარაგებით ისარგებლებს

საქართველოს რეგიონებში მოსახლეობის უწყვეტი წყალმომარაგებისთვის მორიგი ტენდერი გამოცხადდა, რომელიც გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ გურჯაანის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოებს ითვალისწინებს, – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ავრცელებს.

როგორც საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია იუწყება, პროექტის სავარაუდო ღირებულება 9,7 მილიონ ლარზე მეტია. საპროექტო-სამშენებლო სამუშაოებისთვის 27 თვე არის განსაზღვრული.

დღეისთვის სოფელ გურჯაანში არ არსებობს წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემა. მოსახლეობას წყალი ავზებიდან ინდივიდუალურად აქვს გაყვანილი. წყალი არ იქლორება.

დაგეგმილი სამუშაოების ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება რეზერვუარებსა და ჭაბურღილს. მოეწყობა 3 ჭაბურღილი, საქლორატორო, მაგისტრალური მილი და წყალმომარაგების ქსელი.

თოვლი და ყინვა საქართველოში

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, თოვლისა და ლიპყინულის გამო, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის კმ148-კმ198 (მულახი-ლასდილი) მონაკვეთზე, აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა.

მათივე ინფორმაციით, დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ზეკარის უღელტეხილზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

„დიდთოვლობის გამო, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი(საღორია)-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას საავტომობილო გზის კმ50-კმ88 (ზეკარის უღელტეხილი) მონაკვეთზე აკრძალულია ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა“ – აღნიშნულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის განცხადებაში.

კოვიდ-19-ის ვაქცინა შავ ბაზარზე იყიდება

„NEW YORK TIMES“ ის ცნობით კორონავირუსის საწინააღმდეგო **ვაქცინა ჩინეთში უკვე შავ ბაზარზე იყიდება. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში არსებული ვაქცინები ჯერ კიდევ სატესტო რეჟიმშია და ოფიციალურად მისი გაყიდვა არ დაწყებულა, ჩინეთში ფარმაცევტულ კომპანიებთან დაახლოებული პირები მაინც ახერხებენ მის გაყიდვას.**

ვაქცინის ფასი 600 დოლარიდან იწყება და 1500-მდე ადის. ვაქცინის მისაღებად მოსახლეობა საათობით დგას რიგში. ის ოთხი ვაქცინა, რომელსაც დღეს მსოფლიო გვთავაზობს, ჯერ კიდევ კვლევის მესამე ფაზაშია, მაგრამ პეკინი მაინც მოითხოვს პრეპარატის სწრაფ გამოშვებას...

პანდემია -„დაკარგული თაობა“

გაეროს ბავშვთა ფონდი „UNUCEF“ შიშობს, რომ მსოფლიოში არსებულმა პანდემიურმა სიტუაციამ შესაძლოა, ბავშვების „დაკარგული თაობა“ გააჩინოს. ფონდის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ გრძელვადიანი შეზღუდვები ზემოქმედებს ბავშვების ფსიქიკაზე, განათლებაზე, კვების რეჟიმზეც კი. როგორც „UNUCEF“ – აღმასრულებელი დირექტორი ჰენრიეტა ფორესი აცხადებს, საფრთხის ქვეშაა მთელი მომავალი თაობა.

საკულტო ფილმ „ნათლიას“ ახალი ვერსია

ინტერნეტ სივრცეში უკვე გამოჩნდა ლეგენდარული კინოფილმის „ნათლია 3“-ის ახალი ვარიანტის თრილერი. მისი სახელწოდებაა „ ნათლია“ მარიო პიუზო: მაიკლ კორლეონეს სიკვდილი“.



ფრენსის ფორდ კოპოლამ, გენიალურმა რეჟისორმა ფილმისა, განაცხადა, რომ ამ ვერსიისთვის შეცვალა ფილმის დასაწყისი და დასასრული.

„ნათლია 3“-ის სერიის პირველი ჩვენება 1990 წელს გაიმართა. თუმცა პირველი და მეორე ნაწილისგან განსხვავებით, ამ ეპიზოდს საკმაოდ დიდი კრიტიკა მოჰყვა.

ახალი ეპიზოდის პრემიერა დეკემბერში იგეგმება. იმედია, ეს ახალი ვერსია წინანდელზე გაცილებით უკეთესი იქნება.

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

საუკუნეს მიღწეულ მონარქთა ქორწილის იუბილე

ბრიტანეთის დედოფალმა ელიზაბეტ II-მ და ედინბურგის ჰერცოგმა ფილიპმა ქორწინების 73-ე წლისთავის აღსანიშნავად ფოტო გამოაქვეყნეს.

ფოტოზე დედოფალი და მისი მეუღლე მისალოც ბარათებს ათვალიერებენ, რომლებიც მათ შვილთაშვილების, ჯორჯის, შარლოტასა და ლუისგან მიიღეს. ბრიტანელ მონარქებს შორის ელიზაბეტ II ხანგრძლივი ქორწინებით რეკორდსმენია. დედოფალი – 94, მისი მეუღლე კი 99 წლისაა.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

◎ დღესასწაული

კრება წმიდათა მთავარანგელოზთა მიქაელისა და გაბრიელისა და სხვათა წმიდათა უხორცოთა ზეცისა ძალთა



21 ნოემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მთავარანგელოზთა – მიქაელისა, გაბრიელისა, ურიელისა, სელაფიელისა, ეგუდიელისა, ბარაქიელისა (ასევე იერომიელისა და ტახნიელისა) კრების ხსენებას.

...ადამიანები ღვთის ნებას ანგელოზებისგან იღებენ. საგულისხმოა, რომ ანგელოზები ესწრებოდნენ ხილული სამყაროს შექმნას და ადიდებდნენ შემოქმედის სიბრძნეს და ძალას!

მსოფლიო საეკლესიო კრებამდე რამდენიმე დღით ადრე დაწესდა მთავარანგელოზთა ხსენების დღესასწაული.

ღვთისმშობლის ხატის „მსწრაფლშემსმენელის“ დღესასწაული

22 ნოემბერს მარიამ ღვთისმშობლის ხატის „მსწრაფლშემსმენელის“ დღესასწაულია. ხატი ათონის წმიდა მთაზე, დოქიარის მონასტერში იმყოფება. ეს ხატი ბნელ დერეფანში კედელზე იყო დაბრძანებული და მონასტრის ტრაპეზარი ნილოსი ხშირად მის წინაშე ანთებული კვარით მიმოდიოდა. ერთხელ მას ჩაესმა ხმა, რომელიც კვარით სიარულს უკრძალავდა, რადგან კვამლი წმიდა ხატს ჭვარტლავდა. ბერმა იფიქრა, რომ ძმები ეხუმრებოდნენ და ყურადღება არ მიაქცია ამ ხმას, რომელიც სინამდვილეში ხატიდან გადმოდიოდა. ამიტომ იგი მეყსეულად დაისაჯა სიბრმავით. ნილოსმა სწრაფად შეიგრძნო თავისი დანაშაული, მწარედ ინანა, რომ ესოდენი კადნიერება გამოიჩინა ზეციური დედოფლის წინაშე, ცრემლით ევედრა მას და უმალვე განიკურნა...

ატენის სიონი - კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურით

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ატენში, სიონის ტაძრის სამონასტრო კომპლექსთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები დასრულა.

პროექტი ევროპის საინვესტიციო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა და მისი ღირებულება დაახლოებით 1.3 მილიონი ლარია.

პროექტი ითვალისწინებდა საფეხმავლო ბილიკის მოწყობას, საზოგადოებრივი საპირფარეშოებისა და ავტოსადგომის მშენებლობას.

სიონის ტაძრის სამონასტრო კომპლექსში ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების და მომლოცველების რაოდენობა მუდმივად მატულობს, მონასტერთან არსებული ინფრასტრუქტურა კი ვეღარ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნას. პროექტის დასრულების შემდეგ კი სრულად მოწესრიგდა ტურისტული ინფრასტრუქტურა, რაც რეგიონში ტურიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობებს შექმნის.

სამუშაოები 2019 წლის სექტემბერში დაიწყო და მიმდინარე წლის ნოემბერში დასრულდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2948; ევრო - 3.8971;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.3650;
100 რუბლი - 4.3109; თურქული ლირა - 0.4280;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9381;
1000 სომხური დრამი - 6.6002.

ამინდი 21 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+10
მთიანი რაიონები -	ღამე	-3,	დღე	+9
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+14
მთიანი რაიონები -	ღამე	+0,	დღე	+10
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge